ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

წელიწადი მეხუთე | პარასკევი, 15 მარიამობისთვე 1919 წ. № 174 | ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტის—2 მ. 50 კ. ნისია განცხადებები 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოეულ 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:—თბილისი „საქართველო".

ტელეფონი № 15—73.

ყურადღება!.. მოითხოვეთ საუკეთესო ხარისხის ყურადღება!..

დაწმენდილი არაყი, კონიაკი და კახური ღვინო

ძმ. ხესიაშვილებისა

(ღვინო იყიდება „ვედრობით" და „ბოთლობით" ხელმისაწვდენ ფასებში) მისამართი ვაგზლის ქ., 6. ტელეფ. 26—86

30—86 19

გამოვიდა და იყიდება

ალ. ასათიანის წიგნი

მიწის საკითხი საქართველოში.

1) მიწად-მფლობელობის ფორმები. 2) მიწად-მფლობელობა საზოგადო და კერძო საკუთრებითი. 3) სახელმწიფოს საგრარო პოლიტიკა. 4) მიწად-მფლობელობის მასალები. სახაზინო, საუფლისწულო და ხიზნების მიწა. 5) კერძო მიწად-მფლობელობა. 6) კერძო მიწად-მფლ. რაოდენობა და მიწის ფონდი. 7) მეურნეობის პირობები. 8) სოციალისტური პარტიების საგრარო პოლიტიკა. 9) მეურნეობის დიფერენციაცია. 10. მიწის საკითხი ევროპის სახელმწიფოებში. 11) რევოლიუციური საგრარო პოლიტიკა. 12) ბოლოსიტყვაობა.

10 6—10

გამოვიდა

ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსების წიგნი: დაისები

გამოცემა „კირჩხიბის", ფასი 25 მანეთი.

თიანეთის მაზრისათვის საჭიროა სამი მომრიგებელი მოსამართლე,

მსურველებმა უნდა მიმართონ თიანეთის მაზრის ერობის გამგეობას ქ. თიანეთში. საჭიროა შემდეგი დოკუმენტები: განათლების ცენზი, სამსახურის ფორმულიარი და curriculum vitae. თხოვნები მიიღება 5 ენკენისთვემდის. ერობა დამატებით ჯამაგირებს აძლევს.

3—158—2 თიანეთის ერობის გამგეობა.

თიანეთის მაზრის ერობის გამგეობა

იწვევს საერობო, აგრონომს, სანიტარულ ექიმს საერობო ტექნიკს და ბუღალტერს.

საჭირო თხოვნა დოკუმენტები და Currieulum vrtae. უნდა წარმოდგენილ იქმნას 30 მარიამობისთვემდის. თვიური ჯამაგირი 1100 მ. დღიური მაზრაში მოგზაურობის დროს 70 მ.

თიანეთის ერობის გამგეობა.

(3—158—2)

თიანეთის მაზრის ერობის გამგეობა

იწვევს უმაღლეს ან საშუალო სასწავლებელში სწავლა მიღებულს (სასურველია სამასწავლებლო ინსტიტუტელი) თიანეთის საერობო სახალხო განათლების ინსტრუქტორის ადგილზე. საჭირო თხოვნა, დოკუმენტები და curriculum vitae უნდა წარმოდგენილ იქმნას თიანეთის მაზრის ერობის გამგეობაში არა უგვიანეს 20 აგვისტოსი. ჯამაგირი თვიური—2100 მან. დღიური, მაზრაში მოგზაურობის დროს 70 მანეთი.

თიანეთის მაზრის ერობის გამგეობა. 3 158—2

საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ საზოგადოების აქციონერთა

საზოგადო კრებ. გაგრძელება

დანიშნულია პარასკევს, 15 მარიამობისთვეს, საღამოს 7 საათზე, სავაჭრო სამრეწველო პალატის ბინაზე. (ფრეილინის ქუჩა № 11).

3—156—3

ერთს ან ორს ოთახს

ვეძებ ვერაზე

იკითხეთ გაზეთ „საქართველოს" რედაქციაში. გ. ლეონიძეს.

4—157—3

აუქციონი

საქ. საზოგ. „მოქმედი". რუსთაველის ქუჩა, № 84.

მარიამობისთვის 17-დან (კვირადან), ყოველ დღე საჯაროდ იყიდება ვადა გასული გირაოები და მანდატები.—ძვირფასი ქვები, ოქროს, ლითონის და სხვა ნივთები (ვადა-გასულ ნივთთა კვიტანციების ნომრები შემდეგია) 1074, 1259, 1295, 1293, 1253, 1312, 1261, 1264, 554, 719, 786, 716, 1004, 1068, 1073, 1101, 1074, 1150, 1166, 1177, 1193, 1145, 735, 733, 734, 735, 736, 737, 738, 739, 740, 741, 742, 743, 744, 745, 746, 737, 748, 749, 750, 816, 817, 818, 819, 820, 821, 822, 823, 824, 826, 827, 827. მიიღება აუქციონიდან გასაყიდი ნივთები. გაიცემა სესხი. კანტორა ღიაა 9—4 საათამდე.

3—2401—1

მოკავშირესთან კავშირი, მტერს—ლახვარი

მდგომარეობა რთულდება ამიერ-კავკასიაში, ამითვე რთულდება იგი საქართველოშიც. ვიდრე ახალი გამწვავებული ფაქტორები გამოჩნდებოდეს, სირთულე მატების გზაზედ დგას. ეს უნდა დავინახოთ და სათანადოთ შევაფასოთ იგი, რომ ჩვენი პასუხი და მზადება გამარჯვებით დავაგვირგვინოთ. უმთავრესი და უდიდესი მტერი ჩვენი დამოუკიდებლობისა—დღეს დენიკინია, ხვალ შეიძლება ლენინი შეიქმნეს, ხოლო მარად და მუდმივად საქართველოს დაუძინებელ მტრად ყოველთვის რუსეთი დარჩება. ჩვენი პოლიტიკური ღონისძიება, ჩვენი დიპლომატიური ნიჭი და მთელი ჩვენი ფიზიკურ-ქონებრივი ძლიერება რუსეთისგან სამუდამოთ თავდახსნას უნდა ვამსახუროთ. არასოდეს და არამც და არამც კვლავ რუსის უღელი საქართველოს კისერზე! ამ შეგნებით უნდა აღივსოს გული ყოველი მამულიშვილის, ამ შეგნებამ საზეიმო შეწირვად უნდა გამოატანინოს ქართველ ხალხს ყოველივე რაც აბადია, სიცოცხლე და ქონება. ამ შეგნებამ უნდა შექმნას დისციპლინა და ეროვნული ერთობა, თუ ჩვენში მართლა ღრმაა და ძლიერი კულტი სამშობლოსი, თუ შემოქმედი პატრიოტიზმი ბუნებას მართლაც და გვითხრობს, საქართველომ უნდა აამოძრაოს მთელი თავისი აშკარა და ფარული ძალა და ტრადიციული სიმტკიცე და აამოქმედოს მომავლის ინსტინქტი ჩვენში უნდა აღმოიხეთქოს თავ-განწირვის ქარიშხალმა, რომელიც სასწაულს ახდენს.

მიუვალი ჰანგი მას ეკუთვნის, ვინც დრომ და ისტორიამ ხალხის სათავეში მოაქცია. ტონი მან უნდა მისცეს ყველაფერს. პატარა კაცებიც დიდდებიან სულით და სხეულით, როდესაც შემოქმედი პატრიოტიზმი მათ ფრთას შეასხამს. საქართველო უნდა დარაზმდეს, როგორც ერთი კაცი, დამოუკიდებლობის დაცვის პათოსში. ამავე დროს, მან მოკავშირე უნდა გაიჩინოს, თანამებრძოლი, მოსისხლე მტრის წინააღმდეგ. ვინ არის ასეთი მოკავშირე ამიერ-კავკასიაში! უნდა თავი დავანებოთ კეთილ სურვილებს და იმას, თუ რას მოითხოვს საღი პოლიტიკური აზროვნება ამიერ-კავკასიის ხალხებისაგან; ანგარიში სინამდვილეს უნდა გაუწიოთ, იმ რეალურ გრძნობებს, რომელიც ამოქმედებს ჩვენს მეზობელ ხალხებს; თორემ ვინ არ იცის, რომ სჯობია ყველა შეერთებული ვიყოთ: თათარი, ქართველი და სომეხი; ყველას გვქონდეს ერთი ფრონტი—მილიტარული და პოლიტიკური—რუსეთის წინააღმდეგ. ამას ვიცავთ ყველა, ამას ვწერთ და გავიძახით, თათარიც, სომეხიც და ქართველიც, მაგრამ სინამდვილეში წინააღმდეგი ხდება. სწორი პოლიტიკური აზროვნების განყენება რეალობაში მარცხდება ირაციონალურად მომქმედ ათას სხვა და სხვა ცოცხალ ძალისაგან. სომხობამ ათას ერთი საბუთი მოგვცა, რომ რუსეთის წინააღმდეგ ჩვენთან საერთო ფრონტს არ შექმნის. ამას ამტკიცებენ საქმით, ამას ამბობენ სიტყვითაც, ამას ასაბუთებენ იდეოლოგიურად. ასე მოიქცნენ ომამდე, რევოლუციამდე, ასე იქცევიან დღესაც ომის და რევოლიუციის შემდეგ, დამოუკიდებელ ცხოვრების ხანაში. ამის ლამაზი საბუთი, რომელიც ჩვენთვის გაუგებარი რჩება, შეიძლება იმ ფაქტში იმალებოდეს, რომ სომხობა ოსმალეთ თათრებისაგან ფიზიკურ განადგურებას განიცდის, ხოლო მისი ინსტინქტი სხვა მხსნელს ვერ ხედავდა, გარდა რუსეთისა. ეს სომხობის საქმეა. ამის სრული უფლება მას აქვს. ასეა თუ ისე, მას თავისი გზა აქვს არჩეული და ჩვენთვის ეს გზა, ეს ორიენტაცია ინსტინქტურადვე მიუღებელია. სხვა სინამდვილის შექმნამდე, ჩვენი დადგომა ერთ გზაზე შეუძლებელია. ჩვენი ინტერესები დაშორებულია; ისინი თავიანთს იცავენ, ჩვენ ჩვენი უნდა დავიცვათ.

დღეს ეს ასეა; ეს უნდა შევიგნოთ და შესაფერისადაც ვიმოქმედოთ, ხოლო ენერგიული მიზან შეწონილი და ტაქტიც მოქმედებით!

სხვაა აზერბაიჯანი. აზერბაიჯანის ხალხში ინსტინქტიური რელიგიური განდგომაა რუსეთისაგან. მთელი მისი ტრადიციონალური და შეგნებული ბუნება, მოკლედ რომ ვსთქვათ, მთელი მისი არსების ბუნებრივი ორიენტაცია ანტირუსულია. შეიძლება ითითო ოროლა თათრის ინტელიგენტი, ან სოციალური უპირატესობის მქონე პირი, ავეთი დარწმუნებული ანტირუსული მიმართულებისა არ იყოს, მაგრამ თვით ხალხი, ერის სიღრმეები, ანტირუსულ სულისკვეთებაში არავითარ ეჭვს არ სტოვებს. საძირკველი აზერბაიჯანისა, ამ მხრივ, ჩვენი ბუნებრივი მოკავშირეა, რუსეთის ძალმომრეობის წინააღმდეგ. ეს ბუნებრივი კავშირი საერთაშორისო აქტითაც აღინიშნა საქართველოსა და აზერბაიჯანის შორის. მაშ, ერთი ბუნებრივი მოკავშირე გვყავს,—აზერბაიჯანის ხალხი. ეს მტკიცე და პირიანი ხალხი, ტრადიციულად და ხელშეუვალი ძალით [illegible] იჩენს წინააღმდეგობას [illegible]. რაც მას შეუძლია თავის ცოცხალი ძალებით მიიღოს. საქართველო ამ მხრივ უკეთეს მდგომარეობაშია და ჩვენი ვალია, აზერბაიჯანს სასწრაფოთ მივაწოდოთ, მასში დაზარაზმული დასაწყისი შევიტანოთ. დადებული ხელშეკრულობა უნდა იქმნას მტკიცედ დაცული. ყოველის საშუალებით უნდა მივაღწიოთ, რომ აზერბაიჯანის მთავრობამ თავისი ხალხის მთელი პოტენცია ამოქმედოს დენიკინის წინააღმდეგ. ამ თვითვე შეიარაღებული ძალითაც უნდა მივეშველოთ საქართველოს ჯარი მოკავშირეთა დედაქალაქ—ბაქოში უნდა გაიგზავნოს. ქართველის და აზერბაიჯანელის იარაღი ერთმანეთს უნდა შეეჭიდოს და სისხლიც ერთად დაღვარონ თავიანთ სამშობლოს დასაცავად. ეხლავე უნდა დამყარდეს შეერთებული სამხედრო ძალების ერთსარდლობა, გამოცხადდეს მობილიზაცია, სასწრაფოდვე უნდა მოეწყოს ჯარის გამოკვება და გამოწყობა. მოკავშირესთან მტკიცე და ყოველმხრივი კავშირი, მტერს—ლახვარი. საქართველომ უნდა გადაარჩინოს თავისი თავი და წარსულის სახე!

ნიკო თავდგირიძის გადასახლების გამო

ქართველმა საზოგადოებამ უკვე იცის, რომ სოხუმის დამსახურებული მოღვაწე და ყოფილი ქალაქის თავი ბ-ნი ნიკო თავდგირიძე, სოხუმის კომისარიატის თავმჯდომარის ტუმარკინის დადგენილებით უნდა გადაესახლებიათ სოხუმის ოლქის საზღვრებიდან იმ წერილების გამო, რომელიც მან ჩვენს გაზეთში დაბეჭდა: სოხუმიდან გვატყობინებენ, რომ ტუმარკინის დადგენილების გამო საზოგადოების პროტესტი წარუდგენია ქალაქის საბჭოში. სოხუმის ქალაქის საბჭოს განუხილავს კომისარიატის ხსენებული განკარგულება და დაუდგენია:

სოხუმის ქალაქის საბჭომ განიხილა რა საკითხი ნ. თავდგირიძის სოხუმის ოლქიდან გადასახლების შესახებ და მიიღო რა მხედველობაში, რომ გაზეთ „საქართველო"ში დაბეჭდილ წერილებში ჩვენ საქმე გვაქვს მხოლოდ პოლემიკასთან, რომელსაც აწარმოებს ბურჟუაზიულ-არისტოკრატიული (?) წრის წარმომადგენელი დემოკრატიულ მთავრობასთან და არა სჩანს არავითარი პროვოკაცია და ამის გარდა, როგორც არ უნდა იყოს განწყობილება კომისარიატსა და ქალაქის საბჭოს შორის, ქალაქის ხმოსნის ნიკო თავდგირიძის გადასახლებას, ქალაქის საბჭო სთვლის შემცდარ გაუგებრობად და შუამდგომლობს კომისარიატის წინაშე, რომ მისი განკარგულება მისი გადასახლების შესახებ შეჩერებულ იქნას და ნიკო თავდგირიძე მიეცეს სამართალში, თუ კომისარიატი მის წერილებში დანაშაულს ხედავს.

მარშალი ფოში მომავალ ომის შესახებ

„L'Echo de Paris"-ის უკანასკნელ ნომერში შემდეგი ინტერვიუ არის მოთავსებული.

მარშალ ფოშს, რომელიც ლონდონში დიდის ზეიმით მიიღეს, ესაუბრა „Daili Mail"-ის სპეციალი კორესპონდენტი უედ-ვრაიჯემი:

„ბრიტანეთის ჯარი" სთქვა მარშ. ფოშმა „პირდაპირ სასწაულია. სამხედრო ისტორიაში არა დროს და არც ერთ ქვეყანაში არა ყოფილა რომ მაგნაირი ჯარი ვისმეს შეედგინოს".

უედ-ვრაიჯემა ახალი ომის შესაძლებლობაზე ჰკითხა: შეამჩნია თუ არა მან რაიმე ნაკლი და შეიძლებოდა თუ არა ინგლისის ჯარის უკეთ მოწყობა.

მარშალმა უპასუხა:

„რასაკვირველია საჭიროების დროს ძველი გამოცდილებაც გამოადგებათ.

თქვენ შესძლებთ თქვენი ჯარის მობილიზაციის მოხდენას სულ 2 3 თვეში—მაგრამ ხელმეორედ მის გაწვრთნას მოუნდება კიდევ ერთი წელიწადი. ასე რომ „მომავალში" ინგლისი ისევე მოუმზადებელი შეხვდება საქმეს როგორც 1914 წ. და ჩვენ ისევ მოგვიხდება ცდა სანამ ის თავის ძალებს მოგვაწვდის.

— რა ზომების მიღებას გვირჩევთ ბატონო მარშალო!

— „ამ ზომების გამომძებნი მხოლოდ დიდი მოფიქრებისა და საღი მსჯელობის შემდეგ თუ შეიძლება. მომავალი ომი ალბად მხოლოდ მატერიალის სიმდიდრეზე იქნება დამოკიდებული. ჩვენ უნდა გვქონდეს ლაბორატორიები სადაც გამომგონენი შეუსვენებლივ ერთი მიზნით უნდა მუშაობდნენ: უზრუნველ-ჰყონ მთელი ქვეყანა ახალი მექანიკური გამოგონებებით, ემზადონ მომავალ ომისათვის.

ანატოლიის მოკავშირეთა ძალების სარდალი

ანატოლიის საფრანგეთის, საბერძნეთის და იტალიის სამხედრო ძალების სარდლად დანიშნეს გენერალი ალლენბი (ინგლისელი.)

ინგლისის ჯარი აღმოსავლეთში

ინგლისის სამხედრო მინისტრმა განაცხადა, რომ ამ წლის ბოლომდე ინგლისის ჯარების რიცხვი აღმოსავლეთში უნდა 600,000-მდე შემცირდეს.

ინდოეთის და ეგვიპტეს ჯარების შემცირებაზე ჯერ ჯეროვანი რაიმე გარკვეული ცნობა არ მოსულა.

(„ანტანტა").

ლაგოდეხის სომეხ ლტოლვილთა გადასახლება შეჩერებულია

ნუხა-არეშის „პატრიოტთა კავშირის" თავმჯდომარე ა. ტერ-ავანესიანის შუამდგომლობით შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწემ განკარგულება გასცა სიღნაღის სამაზრო ერობას რომ ლაგოდეხში მყოფ ნუხის და არეშის ოლქის სომეხ ლტოლვილთა გადასახლების შესახებ განკარგულება შეჩერებულ იქმნას ახალ განკარგულებამდე.

(„ნ. აზრ.").

ოსმალეთი და ქურთები.

ოსმალეთის ყოფილი მინისტრი ფერიდ ფაშა თავის დეპეშაში დამოუკიდებლობის საკითხის შესახებ ამბობს, რომ ქურთებმა უნდა დახმარება გაუწიონ და ოსმალეთს [illegible] მათი უმრავლესობა, იმ აზრით, რომ ოსმალეთთან მეგობრული განწყობილება არ მოიშალოს; მხოლოდ მათი უმცირესობა ისწრაფის დამოუკიდებლობისადმი. ქურთებისთვის მშვიდობიანობის საუკეთესო ფორმად მიაჩნია ოსმალეთის მფარველობის ქვეშ, ავტონომია განიერ უფლებებით.

ქურთებს ერთი საფრთხე ელის, ეს საფრთხე სომხები არიან. რომლის ასაცილებლად საჭიროა რაიმე ღონისძიება ერის შეერთება. ქურთ-ოსმალების საკითხი, არის ოსმალეთის შინაური საკითხი და იგი საერთაშორისო არ საკითხად არ უნდა გადაიქცეს. („ნ. აზ.").

† ერნსტ ჰეკკელი

ერნესტ ჰეკკელი—პატრიარქი მატერიალიზმისა და უშესანიშნავესი ზოოლოგი გერმანიისა დაიბადა 1834 წ., 1852 წლიდან სწავლობდა მედიცინას და ბუნებისმეტყველებას ვიურცბურგსა და ვენაში.

ზოოლოგიურ გამოკვლევებისათვის რამდენჯერმე იმოგზაურა ჰელგოლანდსა და ნიცცაში, მუშაობდა ნეაპოლსა და მესინაში.

უკანასკნელი ცნობები

ფრანგული პრესის ცნობით ოსმალეთში ახალგაზრდა ოსმალნი სომხებთან ბრძოლისთვის ემზადებიან.

ინგლისში მუშების დადგენილებით გაფიცვები შესწყდა.

ბოლშევიკები მოხალისეებს ერთა დაპყრობას უკიჟინებენ.

რაკოვსკიმ განაცხადა რომ უკანასკნელ ხანებში გავრცელებული ხმები რუსეთის უიმედო მდგომარეობის შესახებ სიმართლეს არ შეეფერება.

ომსკში კოლჩაკმა სამხედრო წესები გამოაცხადა.

რუმინელები ხუთთა საბჭოს ნოტაზე პასუხს არ იძლევიან.

პოზნანის პოლონურ ნაწილებში შეტაკებები მოხდა.

1826 წ. პროფ. იენის უნივერსიტეტისა. მოგზაურობდა ლისსაბონში, მადეირაში, ტენერიფეში, გიბრალტარში, ნორვეგიაში, რუსეთსა და ეგვიპტეში, იყო კორსიკაზე, სარდინიასა და ცეილონზე.

ჰეკკელი იყო პირველი გერმანელი ზოოლოგი, რომელიც მტკიცედ მიუდგა დარვინის თეორიას. ამ თეორიის და ემბრიოლოგიის მიხედვით იგი შეეცადა მოეცა რაციონალური სისტემა ცხოველთა სამეფოსი, დამყარებული ცხოველთა ფილოგენიაზე. (ცხოველთა სხვა და სხვა ჯგუფების წარმოშობა ერთის მეორისაგან).

განსაკუთრებითი ყურადღება მიაქცია მან ინდივიდუალურ ანუ ონტოგენიის ისტორიის განვითარების დიდ მნიშვნელობას.

ჰეკკელის აზროვნებათა წყაროდ იყო ემბრიონალ განვითარების სტადია მისი აზრით, ეს სტადია იმეორებს თავისით საზოგადო წინაპარს ყველა Metazoa, ე. ი. მრავალუჯრედიან ცხოველებისას. ამ გათვალისწინებულს წინაპარს ჰეკკელმა უწოდა გასტრეი და ცდილობდა გამოერკვია თუ როგორ განვითარდნენ მისგან ცხოველთა სამეფოს სხვა და სხვა ტიპები. მართალია, მრავალი მისი შეხედულება გადასცდა საზღვარს სინამდვილისას და ზოგიერთ შემდეგ აღარ ესაბამება სინამდვილეს (მაგ. გასტრეა თეორია) მაგრამ ყოველ შემთხვევაში თავისი ნიჭიერი ცდით სინათლე შეიტანა რთულ მოვლენებში. ჰეკკელმა დიდი სამსახური გაუწია ზოოლოგიას და წინ წასწია მრავალი პირველხარისხოვანი საკითხები.

ამის გარდა, მას დატოვებული აქვს მრავალი შესანიშნავი სპეციალური გამოკვლევანი. როგორც ცნობილია მისმა ერთმა წიგნმა „Velträtsel-"ი (მსოფლიო ამოცანები რომელიც 1899 წელს დაიბეჭდა) გადითარგმნა 12 ენაზე და 300 ჯერ გამოიცა.

ინგლისური გაზეთი კლემანსოს დეპეშის შესახებ.

„The geordiau Mail" (ქართული ფოსტა) რომელიც თბილისში გამოდის ცნობილ ინგლისელ ჟურნალისტის სკოტლანდ ლიდელლის რედაქტორობით შემდეგს სწერს:

ჩვენ არ ვიცით ვის ედება ბრალი იმ ყალბ ინფორმაციისა, რომელიც მიეწოდა უმაღლესს საბჭოს პარიზში. ვინ არის ის პროვოკატორი? არ არის დიდი ხანი მას აქეთ, რაც ამიერ-კავკასიაში გავრცელებული იყო ხმა, რომ ბრიტანეთის ჯარი მიდის და „რომ ბრიტანეთის მთავრობასთან შეთანხმებით, 50.000 კაცისაგან შემდგარი ოსმალოს ჯარი უნდა მოვიდეს აქ ინგლისელ ჯარის მაგიერად". ეს სიცრუე იმდენად მტკნარი და უაზრო იყო, რომ უვიცნი და გულუბრყვილონი თუ დაიჯერებდნენ. მაგრამ სულ სხვაა. როდესაც ყალბ ინფორმაციას აწვდიან უმაღლესს საბჭოს—განსაკუთრებით, როდესაც ამას ის შედეგი მოჰყვება ბოლოს, რომ ინფორმაციის სიმართლეში დარწმუნებული საბჭო ამ ინფორმაციის მიხედვით მოქმედობს. ეს ისევ „ფარული ხელის საქმეა". ჩვენ საკმაოდ ხშირად გვქონია საქმე მასთან ამ ომის განმავლობაში. დროა ბოლო მოეღოს ამ ბოროტ ინტრიგებს. სომხის მთავრობის მოვალეობაა დაარღვიოს ეს უმაღლესს საბჭოსთვის მიწოდებული ყალბი ცნობა, გაამართლოს საქართველო და აღიაროს ქართულ მთავრობის შესახებ ის სიმართლე, რომ უკანასკნელი უწევდა სომხეთს დახმარებას და ეხლაც განაგრძობს ამ დახმარებას.

უნგრეთის მდგომარეობა ბოლშევიკების შემდეგ

(გაზ. „საქართველოს" ცნობა)
(ინგ. მის. დეპ.)

ერთ-ერთ კორესპონდენტის ცნობით ბელაკუნის გაჩხრეკის დროს როდესაც ის ავსტრიიდან გაიქცა მის ბარგში აღმოაჩინეს დამალული 5 მილიონი კრონი.

უნგრეთის დედაქალაქი ბოლშევიკების დაცემის შემდეგ ისევ გამოცოცხლდა. ცხოვრების პირობები თანდათან უმჯობესდება. ბოლშევიკური მთავრობის გადაგდების წუთას ეკლესიების ყველა ზარებმა რეკა ასტეხეს. ყოფილი მოხელეები, გენერალურ შტაბის წევრნი, მემამულენი და სხვა პროფესიის ხალხი შეიკრიბა ბაღში და ახალ მთავრობისადმი მისასალმებელი მიტინგები გამართა საგარეო საქმეთა სამინისტროს წინ. პოლიცია თავის საქმის ასრულებას თანდათან უბრუნდება. მანიფესტანტები მღეროდნენ უნგრულ ძველ ეროვნულ სიმღერებს.

მოკავშ. კონსტანტინოპოლის მანდატის შესახებ

„საქართველოს ცნობები"
(ინგ. მის. დეპ.)

ოსმალეთის იმპერიის მომავალი მთლიანად იმაზეა დამყარებული, თუ ამერიკა როგორ გადასწყვეტს კონსტანტინოპოლისა და სომხეთის მანდატის საკითხს.

ირკვევა რომ, როდესაც მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე, ამერიკის დელეგაციის ახალ მეთაურს ბ-ნ პოლკს შეეკითხნენ, ჩქარა გადასწყვეტს თუ არა ამერიკა მანდატორის საკითხს; ამ ოლკმა გარკვეული პასუხი ვერ გასცა, მხოლოდ გამოსთქვა თავისი აზრი რომ შედეგი მეტად სათუოაო.

საბჭოს წევრებმა იგი დაარწმუნეს რომ ოსმალეთის საკითხის გადადება მეტად სახიფათოა. იგი დაითანხმეს, რომ ოსმალეთის საკითხი განსახილველად წარედგინოს ამერიკულ კონგრესს ჩიკაგოში, იმ მოსაზრებით, რომ ბულგარეთთან ხელშეკრულების დამტკიცება და თრაკიის ბედი მჭიდროდ დაკავშირებულია იმ საკითხთან, თუ ვის მიეცემა მანდატი კონსტანტინოპოლზე. ბ-ნმა ოლკმა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ ამერიკისათვის რომელიმე მანდატის მიღება ნიშნავს მისი პოლიტიკის შეცვლას და დიდი შრომის გაწევა იქნება საჭირო, რომ ეს პოლიტიკა მიიღოს საზოგადოებრივ წრეების ოპოზიციურმა ნაწილებმაც. შემდეგ მან მაინც დასძინა: ამერიკის მთავრობა ყოველ შემთხვევაში ეცდება ოსმალოს ყოველ მხრივი დახმარება გაუწიოს.

პოლკ. გოთუას „საპატიო ლეგიონი"

პარიზის გაზეთ „ფიგარო"-ში მკათათვის 11-ს დაბეჭდილია შემდეგი:

„ზავის ჩამოგდების გამო ზეიმის დროს პარიზში მოკავშირეთა ჯარებში არ მოსჩანდა რუსის ჯარი. რა გინდა არ იფიქროს საფრანგეთმა იმ დიდ ნაწილზე რომელიც ახლა ბოლშევიკებს უპყრიათ მან მაინც არ უნდა დაივიწყოს, რომ არის ნაწილი და საკმაოდ დიდი ნაწილი რუსეთისა, რომელიც დღემდე ჩვენ მოკავშირედ დარჩა. ბრესტლიტოვსკის ზავის შეკვრის შემდეგ, რაც რუსეთის კომუნისტების ძალადობის ნაყოფი იყო, საფრანგეთის ფრონტზე პოლკოვნიკ გოთუას მეთაურობით შესდგა რუსეთის „საპატიო ლეგიონი", რომელიც მტერს ებრძოდა ზავის შეკვრამდე. მან მონაწილეობა მიიღო ვილლერსთან, სუასონთან, სომაზე და ჰინდენბურგის ხაზზე ბრძოლაში და არა ერთხელ ყოფილა მისი გმირობა მოხსენებული ლაშქრის ბრძანებებში. მას მიღებული აქვს რამოდენიმე ჯვარი. განა სამართლიანი არ იქნებოდა, რომ საპატიო მსვლელობის დროს თავისი ადგილი მიეჩინა მათთვის ვინც ბოლომდე ჩვენთან ერთად იბრძოდა, „ვინც ჩვენს ჭირსა და ლხინს შუაზე იყოფდა?."

ქრონიკა

◆ **რევაზ გაბაშვილის განთავისუფლება.** ჟურნალისტი რევაზ გაბაშვილი, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით იყო დაპატიმრებული გაზ. „სახ. კლდეში" მოთავსებულ წერილის გამო, მთავრობის დადგენილებით განთავისუფლებულ იქმნა.

◆ **სატერმინოლოგიო წრე.** ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროში შესდგა სატერმინოლოგიო წრე რომელშიაც მონაწილეობენ: ი. ბოლუმბორდვინოვი (თავმჯდომარე) გ. აბაშიძე, ნ. კუტალელიშვილი, დ. ბეზურიშვილი და ანნა გ. კონიაშვილი.

სისხლის სასამართლო

◆ სისხლის სასამართლოს მილიციის წევრების მიერ სადგურზე დაიჭირეს ვინმე პოპანდოპულო, რომელსაც აღმოაჩნდა 225 ცალი ოსმალური ოქროს ლირა და აგრეთვე ბაქოში წასასვლელი ბილეთი, სადაც უნდოდა გაესაღებინა ეს ლირები. რადგანაც ოქროს გატანა აკრძალულია საქართველოს ტერიტორიიდან, ჩამორთმეული ოქრო სახაზინოს გადაეცა.

◆ სისხლის სამართლის მილიციის მიერ 12 მარიამობისთვეს შეპყრობილ იქმნა თანახმად ლანჩხუთის ქალაქის თავის მოადგილის იმნაძის დეპეშისა, ქ. თბილისში გ. აბ. ინოჩენცი და ქ. დუიძე, რომელთაც კედლის საათის მოპარვა ბრალდებოდათ.

◆ **აზერბაიჯანის ნოტა სომხეთს.** სომხეთში მყოფ აზერბაიჯანის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა, სომხეთის გარეშე საქმეთა მინისტრს ივლისის 31-ს გადასცა საპასუხო ნოტა ზიუქვედის რაიონში მომხდარ სომეხ-თათართა ბრძოლის შესახებ. ნოტაში ჩამოთვლილია საბუთები, რომელიც ამტკიცებს, რომ ზიუქვედის რაიონში პირველად სომხების ჯარმა დაიწყო სამხედრო მოქმედება და მუსულმანთა დელეგაციის წევრები, რომელნიც გაგზავნილი იყვნენ მშვიდობიანობის დამყარებისათვის—დახოცეს.

◆ **ავტომობილის მსხვერპლი.** აგვისტოს 12-ს პუშკინის ქუჩაზე ავტომობილი № 81 დაეჯახა ტრამვაის მოსამსახურეს და ძლიერ დააზიანა. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში გაიგზავნა და შოფერი-კი შეიპყრეს.

◆ **თავის დაჭრა.** 12 აგვისტოს ორ საათზე ერისთავის ქალმა თავის მოკვლის განზრახვით რევოლვერით თავი დაიჭრა.

◆ **ქურდობა.** 12 აგვისტოს ბორჯომის ქუჩაზე სეილანოვის ბინიდგან მოიპარეს 10000 მან. ღირებული ნივთეულობა.

◆ **საქართველოს ექიმთა** პროფესიონალურ კავშირის თბილისის განყოფილების საზოგადო კრება შესდგება პარასკევს 15 მარიამობისთვეს, საღამოს 7 ნახ. საათზე თბილისის ერობის შენობაში, რუსთაველის პროსპექტი № 6. პროგრამა: 1. დებულებანი ერთი ადგილის დაკავების შესახებ, 2. საკითხი 2000 მან. გადასახადის შესახებ, 3. სანიტარული ინსპექტორის არჩევის შესახებ, 4. მიმდინარე საქმეები.

შეცდომის გასწორება.

გუშინდელ მეთაურში სწერია: ყოველ ასეთ შემთხვევაში სომხობა ჩვენში შემოხიზნდება... უნდა იყოს შემორჩებოდა...

სამხატვრო ქრონიკა

ქართულ კლუბში. დღეს 16 აგვისტოს დიდი სიმფონიური საღამოა დანიშნული ქ-ნ ალეშკოსა და ბ-ნ კაპელნიცკის მონაწილეობით.

პროვინციის ცხოვრება

ს. ჩაილური. პურის მოსავალი ცუდია. ვენახები [illegible], ძარცვა-გლეჯა გავრცელებულია.

ს. ყანდაური. პურის მოსავალი კარგია. გვალვის გამო სიმინდი გაფუჭდა.

ს. კაკაბეთი მიწების დაყოფაზე ადგილობრივი ადმინისტრაცია თვითნებობს. ზოგს ნორმაზე მეტს უზომავენ და ზოგს კი ნორმაზე ნაკლებს.

ჭიათურის მომრიგებელი სასამართლო

თუ სადმე საჭიროა მომრიგებელი სასამართლო, ეს უპირველესად ქ. ჭიათურისათვის, რომ ჭიათურის მომრიგებელი სასამართლო 1903 წელიდან არის გახსნილი და ეს დაწესებულება დიდ დახმარებას და საშუალებას უწევდა 1917 რევოლიუციის წლამდის როგორც ჭიათურას, ისე მის გარშემო სოფლებს, მაგრამ რევოლიუციის გამოცხადების შემდეგ რა კი ნაციონალიზაციის გამო ჩვენი დაწესებულებებიდან უცხო მსაჯულები დაითხოვეს, ჭიათურის მომრიგებელ სასამართლოში საქმეები მუდმივად აღარ ირჩევა, რადგან საკუთარი მსაჯული აღარ მისცეს, მხოლოდ დრო გამოშვებით ჭიათურაში თვეში ორჯერ საჩხერის მომრიგებელი მსაჯული ნიშნავს სხდომებს, მაგრამ ჯერ იქ იმდენი საქმეებია, რომ ჭიათურაში ყოველ დღის იყოს სხდომა, მაშინაც კი ვერ აუვა და თვეში ორი სხდომა რას შესძლებს? თუმცა საჩხერის მსაჯული ბ. ალ. ყაველაშვილი პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას; ამნაირად ჭიათურის მომრიგებელ სასამართლოში მრავალი საქმეებია გასარჩევი რითაც სარგებლობენ პირობების დამრღვეველნი მოპასუხეები და სხვა და სხვა დამნაშავე პირები, რომელნიც თავისუფლად დათარეშობენ და ფეხ ქვეშ სთელავენ თვიანთ მომჩივნების თავმოყვარეობას მოქალაქეობრივ უფლებებს; ასეთი სასამართლო, რომელიც არის და არც არის, თუ არაფერს გვშველება და საკუთარი მსაჯული არ მიეცემა, ბარემ სამუდამოდ დაიკეტოს ისა სჯობია.

ჭიათურის მომრიგებელი სასამართლოს ყოფნა-არ ყოფნის უმთავრეს მიზეზად ასახელებენ სასამართლოების რეორგანიზაციას და მასთან შორაპანის მაზრის ერობის დაუდევრობას და თვით იუსტიციის სამინისტროს უყურადღებობას. ვისაც რიგია საჭიროა ყურადღება მიაქციოს ამ სამწუხარო მოვლენას

ი. ფ—ლი.

სომხეთი

სომხ. დეპ. სააგენტო
მარიამობისთვის 12.

სამხედრო მოქმედებანი

ერევანი, მარიამობისთვის 11. ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს სოფლები ასლანლუ, ღარაღალუ და გულუჯა.

— აბასგოლის ქურთები და ახალბაიაზეთის თათრები თავს დაესხნენ სომხების სოფლებს.

— სარიყამიშის მიმდინარეობით, ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს სიმაღლეები. ოსმალეთის აფიცრებს უნდოდათ გაე-

მგზავრად მესხეთში

მწარე ფიქრებით შეპყრობილი ვუახლოვდებოდი მესხეთის საზღვრებს. ბორჯომის ავტომობილი მიმაქროლებდა იმ ქვეყნისაკენ, რომელსაც უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში იმდენი უბედურება გადახდა, რაც მას არ უხილავს საქართველოს წარსულის შავბნელ დროებშიაც!

მშვენიერმა მესხეთმა თავს გადიტანა ჟამთა უკუღმართ მსვლელობის მთელი საშინელება და თუ მისი ხალხი მთლად არ აღიგავა დედამიწის ზურგიდან, ეს მიეწერება მხოლოდ მის გაქვავებას ისტორიულ ჩარხის ტრიალში და მემკვიდრეობით გადმოცემულ გამძლეობას.

ხოლო დღეს ულრესი შეწუხებისა და თითქმის სასოწარკვეთილებისა ნათლად დააჩნდა დარბაისელ მესხს, სევდა არ შორდება მის გახსნილ სახეს და გამჭვირვალე გამომეტყველებას; მას ნდობაც დაეკარგა ხალხისა, მოკეთეს ადვილად ვეღარ არჩევს მტრისაგან...

ერთი ძველად თანდაყოლილი თვისება-კი დღესაც უცვლელად შეჰრჩენიათ მესხეთის მკვიდრთ: შრომის მოყვარეობისთვის მესხს არ უღალატნია! ჩვენს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ვიხილეთ ყვითლად გადაშლილი უხვად ნათესი ახალციხის მინდორ-ველები. ჯერ კიდევ ნახავთ აქა-იქ საშინელ ომისა და დარბევის ნიშნებს! განადგურებული შენობები და გადამწვარი ტყე-ღრე მოგაგონებთ მშვიდობიან მცხოვრებლების აწიოკების შესაზარ სურათებს! ჰაერში ისევა სდგას ტყვია-წამლის მძიმე სუნი. მიუვალ ადგილებში გახიზნულნი შიშითა და ძრწოლით უბრუნდებიან მამა-პაპის კერას, შესიერად ვერც დაჰკვიდრებულან აოხრებულ სახლ-კარში, მაგრამ მადლიან მარჯვენას მაინც არ ასვენებს პატიოსანი მუშაკი—მესხი და მძიმე პირობებში შესძლო სასწაულის მოხდენა: ზარბაზნებით ამტვერებული და ათხრილი მინდვრები მან გაამშვენიერა და ნათესით აავსო...

⁂

ნელის ნაბიჯით, თანდათანობით უბრუნდება მშვიდობიან ცხოვრებას მესხეთი; ეჩხირება კი, რომ მზრუნველი ხელი არ მოქმედობს ახლად შემოერთებულ კუთხეში და არ ცდილობს მყუდრო კალაპოტში ჩაამწყვდიოს აწეწილ-დაწეწილი მისი ვითარება. სახელმწიფოებრივი აპარატი აქაც საქართველოს დანარჩენ ადგილების ყაიდაზეა აგებული,—იქნებ, უფრო ცუდათაც; თვითნებობასა და მცხოვრებთა აკლებს, როგორც ყველგან, აქაც დაუსჯელად მისდევენ ადმინისტრაციის აგენტები, იმ განსხვავებით, რომ გაძვალტყავებულ ხალხისაგან ამ კუთხეში წინააღმდეგობის გაწევის შიში სრულებით არა აქვთ მათ და ამიტომ მეტის თავხედობით მისდევენ ჩვეულ პროფესიას.

⁂

როგორც სხვა განაპირა კუთხეებში, მესხეთშიაც არის ახალი ტიპის უმაღლესი „ნამესტნიკი" — ცენტრალურ მთავრობის რწმუნებული, განუსაზღვრელი კომპეტენციით აღჭურვილი და ყველა ფუნქციათა შემსრულებელი. ძნელია საზოგადოთ გაგება იმისა, თუ რა აზრით შექმნა დემოკრატიულმა მთავრობამ ეს უცნაური „მეტბარგი" თანამდებობა: წარსულის მაგალითები გვიმტკიცებენ, რომ ფუნქციათა არევას და აგა თუ იმ მოსამსახურე პირთა მდგომარეობის გამოუცნობლობას ვნების გარდა არაფერი მოაქვს, და ჩვენ ვიცით თუნდ ამავ მესხეთის ახლო წარსული დღეებიდან, თუ რა შედეგი მოსდევს სამხედრო თუ ადმინისტრატიულ ფუნქციების მრავალ თანამდებობებში გათქვეფას: მესხეთ-ჯავახეთს რომ მტერი მოადგა, რომელსაც ნიშანში რესპუბლიკის დედა-ქალაქი აეღო, მთავარსარდალმა ჯარების დამატების გამოგზავნა მოსთხოვა მთავრობას და თანაც აცნობა მდგომარეობის საშიშროება, მაგრამ მთავრობის რწმუნებულს არ გაეზიარებინა სარდლის სამხედრო-სტრატეგიული მოსაზრება და საწინააღმდეგო რეკლამაციებს აწვდიდა თბილისს! ადვილი გასაგებია, რომ უკანასკნელის შეხედულებას უნდა გაემარჯვა... და მესხეთიც მტრის ხელში დარჩა!

⁂

მტრის შემოსევისა და არეულობის შიშს დღესაც განიცდის ეს მრავალტანჯული კუთხე. ყოველ დღე ახალ-ახალი ხმები ისმის უცხო ჯარის შემოსევისა, თუ უკმაყოფილო ელემენტების თავდასხმის შესახებ! ასეთი გარემოება მეტისმეტად ნერვიულ ატმოსფერასა ჰქმნის და უფრო აფრთხობს ისედაც სასოწარკვეთილ მცხოვრებთ. ამას წინად დარწმუნებით გაიძახოდნენ, თითქოს ცნობილი სერვერბეგი სულ ახლო ხანში დიდი ლაშქრით გაჩნდება ახალციხეში და ოსმალთა დახმარებით შეეცდება მესხეთის საქართველოსაგან მოწყვეტას. არ ვიცი რა საფუძველი აქვს ამ ხმებს—მოპირილია, თუ ოდნავ სიმართლეს მაინც შეიცავს. ჯარის უფროსი აცხადებს, რომ ხმები ყოველივე სიმართლეს მოკლებულია და კანონის ძალით უპირებს ალარმისტებს დასჯას... ერთი მეორეზე ამაღელვებელი ხმები-კი არ შორდება ახალციხეს,—არც ის შეიძლება ითქვას, რომ სამხედრო უფროსის განცხადების შემდეგომ ხმები მიყუჩებულიყო და ახალციხის მოქალაქე სამხრეთ-დასავლეთ საზღვრებისადმი ნდობით გამსჭვალულიყო. მესხნი იმედს ჯარზე ამყარებენ და სჯერათ, რომ ასეთი მდგომარეობის მიხედვით სამხედრო ძალა მნიშვნელოვან განაპირა კუთხეში შევსებული და გაძლიერებული იქნება, მაგრამ ბედი დღეს აღარა სწყალობს მესხეთს: ჯარის „რეორგანიზაციის" კანონმა სწორედ ამ დროს მოუსწრო მესხეთ ჯავახეთს, როდესაც ამ მხარისათვის ყველაზე საჭირო ძლიერი და მრავალ-რიცხოვანი ჯარია! ახალ სამხედრო კანონმა მრავალი ოფიცერი დასტოვა შტატ-გარეშე და რაღაც უცნაურობით შემცირების კანონი ეხება ყველაზე უფრო გამოცდილი და ომში გაკაჟებულ ოფიცრებს... ნუ თუ ჯარშიაც იმავ მეთოდით ხელმძღვანელობენ, სამოქალაქო სფეროში რომ ასეთი უნუგეშო შედეგები მოგვცა,—ფიქრობს განცვიფრებული დარბაისელი—მესხი?! პირადად ჩვენ შემთხვევა გვქონდა გვენახა რამდენიმე გმირი ოფიცერი, რომელნიც „შტატს გარეშე" მოჰყვნენ და მიემგზავრებოდნენ... აზერბაიჯანში ბედის საცდელად!

ვუცქერდი ახოვან ტანის ვაჟკაცებს, სამხედრო ორდენებით გულ-მკერდ მოფენილთ, და ვეკითხებოდი ჩემს თავს: ნუ თუ სამშობლოისათვის ზედმეტნი შეიქმნენ ეს ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდანი ამ მოულოდნელობით ალსავსე ჟამს!?

⁂

მესხეთში უყვართ ჯარი, სამადლობელო გრძნობით ეპყრობიან იმათ, ვინც რომ მათი მიწა წყალი აზიზარ მტერს გამოსტაცა. განსაკუთრებული პოპულიარობა ამ კუთხეში დაუმსახურებია გენერალ მაყაშვილს, რომელსაც აქ ყველგან „მამას" უწოდებენ. სწორედ ამ დღეებში ახალციხეში გავრცელდა ხმა მაყაშვილის სამსახურიდან დათხოვნისა და მისი აზერბეიჯანში წარჩინებულ თანამდებობაზე მიწვევის თაობაზე. მესხნი ვერ შეჰრიგებიან ამ აზრს, რომ ისეთ დამსახურებული და ღვაწლმოსილ გენერლის დათხოვნა, როგორიც არის მაყაშვილი, შესაძლებელი იყოს დღევანდელ პირობებში, მაგრამ, ზევითაც ვწერდი, „ყველაფერის შესაძლებლობის ხანამ" ბევრ რამეს შეაჩვია გულუბრყვილო მესხნი! აქვე უნდა აღვნიშნო, რომ სოციალდემოკრატიის აგიტატორები არავითარ საშუალებას არ ერიდებიან ოფიცრებისა და გენერლების სახელის გასატეხად ხალხში. გენერალ გელოვანის უკან დახევას აქ დიდი ჭორები თან დაჰრთვია და, რამდენადაც ყური მოვკარ, მენშევიკების აგიტატორები ამ მოვლენაზე სოციალ-დემოკრატიას პარტიულ სიმდიდრეს უხვეჭენ და მესხეთ-ჯავახეთის ხსნას აგიტატორების „სტრატეგიას" უკავშირებენ! ყველაფერი შესაძლებელი ყოფილა ცოდვილ ქვეყანაზე...

⁂

ამ ჟამად მესხეთ-ჯავახეთში ბლომად გაჩნდნენ პარტიული აგიტატორები. დამფუძნებელი კრების არჩევნებმა სხვა და სხვა პარტიებში უფრო მეტი ინტერესი დაბადა, ვიდრე თვით მცხოვრებლებში, რომელნიც ახლო წარსულის უბედურობით ისე გატყდნენ წელში, რომ ხალხის სახელმწიფო-პოლიტიკურ საკითხებისადმი დაეკარგათ და ვინ იცის როდის მიეცემათ შეძლება საკუთარ კერის გარეშეც გადაიტანონ მზრუნველობა და ყურადღება. ნაკლებად დასჭირდათ პროპაგანდისტების გამოგზავნა მესხეთში სოციალდემოკრატებს: მენშევიკების პროპაგანდისტი (სასოფლო კომისიიდან) დიდი ხანია მოკალათებულია ამ მხარის თითქმის ყველა სოფელში და ამ ხნის განმავლობაში, რასაკვირველია, ისე გაწვრთნილი ეყოლება „აუდიტორია", რომ მას არ გაუჭირდება „კომუნისტურ მანიფესტის" მუხლების გარჩევაც! სოციალ-დემოკრატიულ პარტიას აქ იცნობენ, როგორც კერძო საკუთრების დამცველ პარტიას განსაკუთრებით. უიმედოა მესხეთში იმ პარტიის მდგომარეობა, რომელიც უარს ჰყოფს კერძო საკუთრებას და სოციალიზაციის მაგვარ ინსტიტუტებით ჰპირდება ხალხს გაბედნიერებას. მესხი სკეპტიკია პირველ ყოვლისა: „ხვალინდელ ქათამს" ის არც თუ ისე ნდობობს, თუ „დღევანდელი კვერცხი" რეალურია და მის სტომაქს ერთგვარად აკმაყოფილებს. არც ის მოსწონთ მესხებს, როდესაც რომელიმე პარტიის წარმომადგენელი თავის ღვაწლის აღნუსხვით აბრუებს ხალხს და „ვალის გადახდას" სთხოვს: მესხნი ასე ჰფიქრობენ: დახმარება და გასაჭირში შველა სახელმწიფოს საქმეა და „მშველელი" პარტიაც, ალბად, სახელმწიფოს სახსრითა და საშუალებით აწვდის ხალხს დახმარებას, ამიტომ „მადლობის" ღირსი სახელმწიფოა, თვით ხალხი და არ ესა თუ ის პარტია... სოციალდემოკრატების აგიტატორებს ჩვეულებად დასჩემდათ წამდაუწუმ იმისი ძახილი, რომ მათმა პარტიამ სიკეთითა და სიმდიდრით აავსო ქართველობა, დაუბრუნა ტყეთ გავარდნილნი მშობელ კერას, ხოლო ზოგი პროპაგანდისტი „ყვავის... ბუდის" ქებით ისე შორს მიდის, რომ მთელი ქვეყნის ხსნასაც ქართველ სოციალდემოკრატიას აწერს! ერთი გარემოებაც ყურადსაღებია: მესხეთში ყველა სოფელს მიჩენილი ჰყავს პროპაგანდისტი — მომეტებულ ნაწილად გურული! ვერ მიხვდები ადვილად, რას აკეთებს ეს „პერსონა" მიყრუებულ სოფელში! ძნელი გამოსარკვევიც არის—უბრალო მომაკვდავი აგიტატორია ის, თუ მძლეთა-მძლე აგიტატორი...

ერთ სოფელში ასეთ სცენას წავაწყდი: მიტინგის დამთავრებისას ბევრი შეფიქრიანდა და ეჭვიც დაებადა მენშევიკების „უცოდველობაში" საქმეს უშველა უბრალო მოგონებამ: №-მა (სოც.-დემ. აგიტატორი) ჩვენ ესა და ეს დაგვირიგა, დახმარება მოგვცა და სხვ.. გავოცდით: ხელმოკლე აგიტატორს რა დიდი ფუნქციები ჰქონია მინდობილი. დღევანდელი მენშევიკ აგიტატორს რომ მართლაც არაჩვეულებრივი ფუნქციები აქვს იმ პატარა ფაქტიდან სჩანს, რომ ერთ სოფელში მიტინგის გათავებისას სოციალ-დემოკრატიის პროპაგანდისტის ბრძანების თანავე მის გვერდით სწრაფად გაჩნდნენ შეიარაღებული გვარდიელ-მილი-

ნადგურებინათ ჩვენი ჯარის ნაწილები და გაეძარცვათ ბერძნების სოფლები. მათ გეგმაში არ შედიოდა ტრანსპორტზე თავდასხმა. ოსმალო ოფიცრები და პარტიზანები მიდიან და თან მიჰყავთ ადგილობრივი მცხოვრებნი, რომელნიც არ მიჰყვებიან და წინააღმდეგობას უწევენ.

— ყამარლუს მიმდინარეობით მარიამობისთვის 10-ს, ღამეს ჩვენებმა დაიკავეს კოტულის სიმაღლეები, რომლებიც მდებარეობენ ორი ვერსის მანძილზე ბოჟ-ვედიიდან. ჩვენებმა დაიკავეს აგრეთვე სოფლები გიჯა, შირაზლუ, ყარალარი, კაწკრანი, რეჰანლუ. შეტევა გრძელდება. დარალაგიაზის სოფლების, ესიგი ზინჯირის, ჩანახაჩის, ყარახაჩის, ულუხანლუს, ელპიტის მცხოვრებლებმა ბრძოლით ჩვენ ჯარებთან ერთად უკან დაიხიეს არეჯანმდე.

— ახალ-ბაიაზეთის მაზრის თათრები განაგრძობენ შეტევას და ძარცვამენ ლტოლვილებს.

ერევანი, მარიამობისთვის 11. გუშინ, საათის ხუთიდან დაიწყო თავდასხმა ბოჟქვედზე. ჩვენი ჯარის ნაწილები გმირულად წინ მიიწევდნენ. სხვა და სხვა მოსაზრებით ჩვენების წინსვლა შეჩერდა. სალამოზე საშინელმა ძლიერმა ქარმა, იძულებული გახადა შეტევა შეჩერებულიყო. ღამემ წყნარად გაიარა.

— მიღებულ ცნობების თანახმათ მოწინააღმდეგე თავს დაესხა დარალაგიაზის მთიან ნაწილზე. გენჯ-გოლი, კენტელისი და ყუშჩის მიდამოებში სასტიკი ბრძოლებია.

მიწის საქ

1) მიწად-მფლობელობი
და კერძო საკუთრებით. 3)
მფლობელობის მასალები. ს
კერძო მიწად-მფლობელობა.
ფონდი. 7) მეურნეობის პირო
პოლიტიკა. 9) მეურნეობის დ
ხელმწიფოებში. 11) რევოლ
ყვაობა.

გამოვიდ
ვალერიან გაფრინ
ლექსების წიგ
გამოცემა „ლი.

ხაფ[illegible] სტამბ[illegible] ანატოლ[illegible] სტამბოლიდა[illegible] რანგეთის კომისია, [illegible] შემოიაროს ადანის, მარაშის და [illegible] ბექირის ოლქები და გაიგონოს ხალხის სურვილები. მგზავრობა სამს თვეს გასტანს.

ცილენი ამ პატიოსანი გვამის შერი[illegible] სოფელში გასაცილებლად...

როდესაც ამბობთ ადმინისტრატიული აპარატის და საზოგადოთ მმართველობის ათას ხელში მოქცევას, არ დაგვავიწყდეთ სოფლის აგიტატორის მიმატებაც.

* * *

საარჩევნო ბრძოლა დაიწყო ამ მხარეში მთელი თავისი ფარგლებით მხარეში: უსმენენ დარბაისელი-მესხნი ჩამოსულ მქადაგებლებს, ერთი მეორეს რომ ტალახში ჰსვრიან, ჰხედავენ ამ ხელოვნურად ატეხილ უმსგავს გინებას, ერთმანეთის ლანძღვას და არა გვგონია ნდობით შეჰხედონ იმ ქვეყანას, რომელიც ასეთ მოციქულებს უგზავნის ტანჯულ ხალხს. როგორც მთელს საქართველოში, მესხეთშიაც ყველა პარტიები შეთქმულობით ეროვნულ-დემოკრატიას ებრძვიან; კურიოზი იქამდის მივიდა, რომ ერთს სოფელში დიდ მიტინგზე ეგრედ წოდებულ ეროვნულ პარტიის აგიტატორმა ხალხს მოუწოდა—ოღონდ მე-2 ნომერს ხმა არ მისცეთ, ისევ სოციალ დემოკრატები გაიყვანეთო! სოციალ-ფედერალისტების მქადაგებელნი ხომ პირდაპირ სასაცილონი არიან: ეს პარტია აურებელ ფულს ხარჯავს, აწყობს პარტიულ წვეულებს კუთხიდან კუთხეში გზავნით და თავის სახე-კი ყველგან მიმალული აქვს! არ გეხმოვს მესხეთში შემთხვევა, რომ სოციალ-ფედერალისტ ორატორს სიტყვა არ გაეთავებინოს რჩევით: ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატებს და არავითარ შემთხვევაში მეორე ნომერსო! ამას ჰქვიან პარტიული ბრძოლა! საცოდავია მე-8 ნომერი, „ეროვნული“ პარტია: რა საშუალებას არ მიმართავენ ეს სუბიექტები ჩვენი პარტიის გასაშავებლად, რაში არა ჰვდებენ ცოდს: სამშობლოს ღალატი, ხოშტარიას ქისით სარგებლობა, „მაფალიუ“, გლეხების ძარცვა, — ყველა ამას ერთ [illegible] პარტიის აგიტატორი ეუბნება მესხელ გლეხს ჩვენს წინააღმდეგ! მაგრამ ამ ადამიანებმა იციან, რომ დაუჯერებელს არავინ დაიჯერებს და ცდილობენ ხალხის გადმობირებას რეალურად, საგნობრივად და ამ შემთხვევაში ისინი დაუზოგველად სარგებლობენ საქველმოქმედო საზოგადოების ფირმით: მათი პარტიული ნომენკლატურა ახალი სიტყვებით შეივსო: სამშობლოს და პატრიოტიზმს ერთვის ნამგალი, საპონი, ჩითი, სიმინდი, ბზე და ვინ მოსთვლის კიდევ რა!? თვით „ნომერი 8“ ხომ სასპეკულიაციო საგნად გაახადეს „ეროვნულებმა“: ჩვენ ისევ „ისინი“ ვართო, გაჰკივიან გუშინ დაბადებულნი, ხოლო „ესენი“ სხვები არიანო, ეჩვენებენ ჩვენზე, მაგრამ საკმარისი ბდება უბრალო ფაქტებზე მითითება და მეჰორეებს ენა ებმით. მთელს მესხეთში დღესაც არ იციან ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან მცირე ჯგუფის გასვლის ამბავი! ვერ გამორკვეულან განსხვავებაში ამ მიმართულებათა შორის, არც ის უწყიან, ვინ ვის გამოეყო.. როდესაც ვწერდი ეროვნულ პარტიის საცოდაობაზე, სახეში მქონდა, სხვათა შორის, ერთი მოვლენა: ვისაც კი შეხვდებიან ეს ადამიანები, ემუდარებიან: ბევრს ხომ არა გთხოვთ! ბატონებო, ერთი კაცის ადგილი გვაჩუქეთ დამფუძნებელ კრებაში, იხვეწებიან „ეროვნულები“ და ამ ხვეწნაში ერთიმეორეს ეცილებიან თვით ლიდერი და სხვა წვრილფეხობა..

* * *

დალონებული მესხეთი განზედა სდგას საარჩევნო კამპანიიდან და მხოლოდ იმაზე ჰფიქრობს, რომ დაწყნარდეს აზვირთებული ქვეყანა, მოისპოს კიდით-კიდემდე მოდებული ძარცვა გლეჯა და აწიოკება! შესძლებენ „ქვეყნად სამოთხის“ შემპირებელნი საქართველოს დამშვიდებას და შეწუხებულ ხალხის ხსნას? ვფიქრობ, რომ ეს სჯეროდის სკეპსისით შეპყრობილ მესხეთს...

რ. ინგილო.

ოსმალეთი

ოსმალეთიდან ეხლა ხანს ჩამოსული ვაჭარი ოსმალეთის მოძრაობის შესახებ შემდეგს გადმოგვცემს:

„როგორც იცით მოკავშირეთა გამარჯვებას მოჰყვა ოსმალეთის მთავრობის შეცვლაც. ნაცვლად „უნიონ და პროგრესის“ პარტიის მიმდევართა მთავრობას მოკავშირეთა ორიენტაციის ხალხი ჩაუდგა სათავეში.

ძველი მთავრობის წევრნი და „უნიონ და პროგრესის“ პარტიის ლიდერები მთავრობამ ომის დაწყებაში დამნაშავეებად იცნო და მათი დევნა დაიწყო. ეს ხალხში დიდ აღელვებას იწვევდა და მთავრობის წინააღმდეგ ამის გამო მიტინგები და დემონსტრაციები იმართებოდა.

იყო დრო, როდესაც მთავრობა სრულიად უძლურს ერთეულს წარმოადგენდა. არა ჰყავდა შეიარაღებული ძალა და არა ჰქონდა ხალხის ნდობა. მოკავშირეთა მიერ შექმნილი მთავრობა ისევ მოკავშირეთა ხიშტებს დაეყრდნო და მას მიერ ნაკარნახევი ბრძანებები გაჰყავდა ცხოვრებაში.

ოსმალეთი მხოლოდ აჩრდილი ლაიყო ძველი ოსმალეთის, აზიელი ხალხი პესიმიზმით გაიმსჭვალა. ერთ დროს დიდი ოსმალეთის იდეით გატაცებული სახელმწიფო მოღვაწენი, ეხლა იმას ითხოვდნენ რომ პატარა ოსმალეთზე პროტექტორი არ დაენიშნათ მაინც. მთავრობა კი მაინც განაგრძობდა ახალგაზრდა ოსმალთა დევნას.

ხალხში გამეფებულ უკმაყოფილებით „უნიონ და პროგრესის“ ჯგუფმა ისარგებლა და წმინდა ხალხურ მოძრაობის მეთაურობა იკისრა. ადგენდნენ პარტიზანულ რაზმებს და თავს ესხმოდნენ მოკავშირეთა ბრძანების ქვეშ მყოფ ბერძნულ ჯარებს.

ამავე დროს ერთი ფრიად დიდი მოვლენა მოხდა სტამბოლში. ახალმა მთავრობამ დააპატიმრა „უნიონ და პროგრესის“ მთავარ კომიტეტის მდივანი და ჩამოახრჩო. მის გვამთან თავი მოიყარა თითქმის 20,000 კაცმა და სტამბოლში მოკავშირეთა და მთავრობის წინააღმდეგ დიდი დემონსტრაციები გაიმართა. დაინახა რა მთავრობამ, რომ ხალხი მას ნაკლებად ენდობა, აიღო და დაპატიმრებულნი მოკავშირეებს გადასცა, რომლებმაც ისინი მალტის კუნძულზებზე გადაასახლა.

ჩემი წამოსვლის წინ, განაცხადა მოპივცემულმა მოსაუბრემ, მდგომარეობა შეიცვალა, ოსმალთა ახალმა მთავრობამ ახალგაზრდა ოსმალთა მოძრაობის დევნა შესწყვიტა და რა ნახა, რომ მოკავშირენი ოსმალეთს ნაკლებად ზოგენ მთელი კურსი მოქმედებისა შეცვალა... როგორც არაოფიციალურ წყაროებიდან გადმოგვცეს ოსმალეთის მთავრობამ სცადა ჯერ დასავლეთით მიეტანა იერიში ხალხური მოძრაობის წილაზი. მაგრამ როგორც დეპეშებიდან დაინახავდით სასტიკად დამარცხდა. ეხლა იგი ცდილობს მოქმედების ბაზა იქითკენ გადიტანოს, სადაც მოკავშირეთა გავლენა ნაკლებია ხოლო ოსმალთა გავლენა კი დიდი. სახელდობრ ქურთებით დასახლებულ აღმოსავლეთში. სწორედ ამ მიზნით მათ მოიწვიეს აზრუმში მაჰმადიანთა საერთო ყრილობა, სადაც სხვათა შორის დაპატიჟებულები იყვნენ ჩვენი აჭარლებიც. ამავე მიზნით მთავრობამ მოაწყო ერთი ხრიკი. გამოგზავნა აღმოსავლეთში დიდი ჯარით გენერალი №—რომელმაც შემდეგ შეუთვალა, რომ მიუხედავად სამშობლოს სიყვარულისა იგი მაინც მთავრობის განკარგულებებს არ ემორჩილება. ეს მთავრობამ მოკავშირეებს აცნობა.

ამის გარდა გუშინდელმა რადიომაც მოიტანა ცნობა, რომ ოსმალთა ჯარი აღმოსავლეთში გროვდებაო.

უცხოეთის ამბები

ჟურნალ-გაზეთებიდან.

მაჰმადიანთა აჯანყება კასპის იმიერ მდებარე ოლქებში.

„ასტრახანის ყაზახთა უწყები“ იტყობინება, რომ კასპის იმიერ მდებარე ოლქებში მაჰმადიანთა აჯანყება მოხდა აჯანყება ბოლშევიკების წინააღმდეგ არის მიმართული. აჯანყებულნი ჯერ ჯერობით მხოლოდ პარტიზანულ ბრძოლას აწარმოებენ.

მოხალისენი და გერმანელები.

ხარკოვში მიიღეს გენ. ლუკოვსკის ბრძანება, რომელშიაც ნათქვამია, რომ მოხალისეთა ტერიტორიაზე არასცნობ გერმანიის საელჩოს აგენტები და მათთან არავითარი კავშირი არ დაიჭირონ ვიდრე რუსეთის კანონიერ მთავრობა მათთან არ შეჰკრავენ ზავს.

ოჩაკოვის ნიკოპოლის და ალექსანდრიის აღება.

როგორც მოხალისეთა ჯარის შტაბის მარიამობისთვის 9-ის თარიღით სამხედრო ცნობა იუწყება მოხალისეთა ჯარმა ქალაქი ნიკოპოლი აიღო. წითელი ჯარი დასავლეთისაკენ იწევს.

მარიამობისთვის 10-ს მოხალისეებმა ოჩაკოვი და ალექსანდრია აიღო.

დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო)

ფრანგული პრესა

თრაკიის მდგომარეობა.

ამერიკის წარმომადგენლები კვლავინდებურად მოითხოვენ, რომ თრაკია ბულგარეთს გადაეცეს და არა საბერძნეთს, საზავო კონფერენცია გაჭირვებულ მდგომარეობაშია ჩაყენებული. კრიზისი დაიწყება შაბათს, როდესაც ვენიზელოსი გაიმეორებს თავის მოთხოვნილებებს იმ დათმობათა შესახებ, რომელსაც ამერიკელები მხარს არ უჭერენ. კვირას სხდომა არ შედგარა. თუ ორშაბათს საბერძნეთმა ან შეერთებულმა შტატებმა არ დასთმო, ბულგარეთის და ოსმალეთის ხელშეკრულებანი ვერ იქნება დამთავრებული. ბულგარეთიდან და ოსმალეთიდან მიღებულ ცნობებით, იქ მდგომარეობა გამწვავებულია. ბულგარეთში ბოლშევიკები თავისი მესწყობილების დამყარებას ცდილობენ, ხოლო ოსმალეთში ახალგაზრდა ოსმალნი მოკავშირეებთან და სომხებთან ბრძოლისთვის ემზადებიან.

საბერძნეთის დელეგაციის აზრით, ამერიკის ოპოზიცია თრაკიის საკითხში ძნელი ასახსნელია. ვენიზელოსმა პირდაპირ ვილსონს მიმართა, მაგრამ პასუხი არ მიუღია. ბერძნები მდგომარეობას კრიტიკულად სთვლიან და სჯერთ, რომ საფრანგეთმა, ინგლისმა და იტალიამ მაინც დაუჭირონ მათ მხარი.

ბელა კუნის დაცემა და პროფესიონ. კავშირები.

დღეს სოციალისტურმა გაზეთებმა საზავო კონფერენციის წინააღმდეგ კამპანია დაიწყეს, რადგანაც გამოირკვა, რომ ბელა კუნის დამხობაში ბრალი ედება პროფეს. კავშირებს(?) ფრანგული პრესის უმეტესი ნაწილი ამ ფაქტს აქამდე დაჟინებით ფარავდა. ძალა უფლების პეიდლის ხელში გადასვლის და შემდეგ მისი დაცემის შესახებ ერთი ფრანგული გაზეთი სწერს: „ჩვენ დიპლომატების მუშაობას ასევე განვაგრძობთ. მათსავით ჩვენც გვჯერა, რომ პეიდლის გაბატონებით უნგრეთში წესიერების დამყარება უზრუნველ ყოფილია, მაგრამ თუ ასეა, ჩვენ ეხლა გარანტია [illegible], სახელდობრ ვილჰელმის იმპერიის აღდგენა.

უნგრეთი და მოკავშირენი.

ფრანგულ პრესის აზრით, უნგრეთში რუმინელებთან მომხდარი გაუგებრობა ხუთთა საბჭოს გაუბედაობის შედეგია, ივლისის 11 საბჭომ გადასწყვიტა ბელა კუნის წინააღმდეგ ჯარის გაგზავნა, ივლისის 17 კი უკან წაიღო ეს გადაწყვეტილება. რადგან გენ. ბლისს არ დაეთანხმა ფოშის თხოვნას. ამ მოლაპარაკების დროს რუმინელებმა გადასწყვიტეს დამოუკიდებლად იმოქმედონ და ეცადნენ.. რომ ჰუნგრეთის მთავრობის სათავეში ერცჰერცოგი იოსები სცნონ. მთავრობის უმაღლესი წარმომადგენელნი აცხადებენ, რომ ეს შეუძლებელია, რადგან ეს უფრო გაართულებს ისედაც გართულებულ საკითხს. ამ ჟამად საზავო კონფერენცია ფიქრობს ერცჰერცოგს იოსებს წინადადება მისცეს რეგენტობაზე უარი განაცხადოს, რათა მის ადგილზე შესაძლებელი იყოს ხალხის წარმომადგენლის დაყენება. ახლა აქ ეჭვი აღარ შეაქვთ იმაში, რომ რუმინელებმა ძალა-უფლება ერცჰერცოგს გადასცეს მიუხედავად იმისა, რომ ფრანგული გაზეთები ამტკიცებენ, რაც მოკავშირეთა მისიებმა ჩაიდინეს: რუმინელების ბუდაპეშტში შესვლის დროს მთავრობის დაცემის მოულოდნელობა და ის, რომ ერცჰერცოგი და რუმინელები შეთანხმებული იყვნენ, ცხად ყოფს საქმის ნამდვილ გარემოებას. საზავო კონფერენციას მიაჩნია, რომ ხალხი ახალ მმართველს მხარს არ დაუჭერს! მან უკვე გამოსცადა ბოლშევიზმი და შესაძლებელია, რომ დაკმაყოფილდეს უფრო ლიბერალურ მთავრობით, რომელშიაც ძველი მთავრობის წარმომადგენ ენი ვერ შევლენ. ინგლისელები და იტალიელები იზიარებენ ამერიკელთა აზრს იმ ზომების შესახებ, რომელთა მიღებაც საჭიროა; ფრანგები კი კვლავინდებურად რუმინელებს უჭერენ მხარს ყველაფერი დამოკიდებულია საზავო კონფერენციის განწყობილებაზე. ამას წინად სრული რწმენა გამოსთქვეს. რომ ხუვერი შესძლებს საუკეთესო გამოსავალი მონახოს შექმნილ მდგომარეობიდან.

ბოლშევიკური ცნობები

ერცჰერცოგი იოსები და რუმინეთი

ლიონი, აგვ. 18. ეხლა ეჭვი აღარავის შეაქვს იმაში რომ ჰუნგრეთის მმართველობას ერცჰერცოგი იოსები რუმინეთისგან ჩაიბარებს. საქმის ნამდვილ გარემოებას ცხადჰყოფს ის, რომ რუმინელების ბუდაპეშტში შესვლისთანავე პაიდლის მთავრობა უცბად გადადგა და ერცჰერცოგი იოსები რუმინელებთან იყო შეთანხმებული.

გაფიცვების შეწყვეტა

ლიონი, აგვ. 3. ლონდონის და სამხრეთ დასავლეთის რკინის გზის მოსამსახურეებმა დაადგინეს დღეიდგან გაფიცვა შეწყვიტონ.

კერძო საკუთრება რკინის გზებზე

ლიონი, აგვ. 8. ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ ამერიკის სავაჭრო პალატებმა კენჭის ყრით მხარი დაუჭირეს რკინის გზებზე კერძო საკუთრების დაცვას. რკინისგზელებმა გაიმეორეს თავისი განცხადება, რომ თუ მათი მოთხოვნილება არ შესრულდეს, გაიფიცებიან.

კამენევის მოხსენება.

მოსკოვი, აგვ. 13. რკინის გზელების კრებაზე მოხსენება გააკეთა მოსკოვის მუშათა საბჭოს თავმჯდომარემ კამენევმა:

„უნგრეთის ამბებმა ისეთი მიმდინარეობა მიიღო, რომ უნგრეთის პროლეტარიატს ყველაზე შავი ბურჟუაზიული დიქტატორი ერცჰერცოგი იოსები წამოაჯდა კისერზე. ალბათ, რომ ბურჟუაზიამ მოწყალება არ გამოიღოს და თავისი სისხლის-მღვრელი დიქტატურა ბოლომდე მიიყვანოს. მოკავშირენი დაჰპირდნენ, რომ უნგრეთის მუშებს პურს მიაწვდიან, თუ საბჭოთა მთავრობას დაამხობენ, მაგრამ რასაკვირველია, იქ პური არ გაუგზავნიათ. რუმინელებმა კი მთელი უნგრეთი დაიპყრეს. მთელ მსოფლიოში ეხლა ერთი და იგივე სურათს ვხედავთ. [მიუხედავად... (გამოტოვებულია) ჩვენში შესაძლებელია ან საბჭოთა მთავრობა ან და დენიკინი, კოლჩაკი ან სხვა მათი მაგვარი. საშუალო ძალა უფლება შეუძლებელია. უნგრეთშიაც ესეა. ან ბელა კუნი ან სამუელი, რომელმაც თავი მოიკლა, ან ერცჰერცოგი იოსები. ძალიან სცდება ის, ვინც ჰფიქრობს, რომ უნგრეთის ამბები აქეთ მორჩება. ბრძოლა ხვალვე განახლდება ახალი სიძლიერით, რადგან პროლეტარიატს ვერ შეუძლია თავის მტვინელებს შეურიგდეს. ეხლა ისინიც კი, ვინც ბელა კუნის პოლიტიკით უკმაყოფილო იყო, დაინახავენ, რომ შეუძლებელია უბრძოლველად, ურევოლიუციოდ ცხოვრება. ამ იდეალის მიღწევა მეოცე საუკუნეში დაიწყო და მიღწეულიც იქნება.

საბჭოთა მთავრობა და პატარა ერები

მოსკოვი, აგვ. 13. „იზვესტია“-ს მოწინავე ააშკარავებს კონტრ-რევოლიუციონერების ყალბ ლოზუნგს: „ერთი დიდი და განუყოფელი რუსეთი“. —ასეთი რუსეთი ჩვენ უკვე გვყავდა და თუ მონარქიის დროს რიზგით შეშინებული და ჯაჭვით შეხოჭვილი სხვა და სხვა ერი, სხვა და სხვა ენაზე მოლაპარაკე რუსეთის იმპერია პირველ სერიოზული შემთხვევისთანავე დაიშალა, ეხლა საბრალო ემიგრანტებს სად შესწევთ იმოდენი ძალა, რომ ისევ მონად აქციონ ის ხალხი, ვინც დაუვიწყარი რევოლიუციონური ბრძოლა გამოსცადა. თეთრგვარდიელთა ბელადები თავის შეუგნებელ საქმეებში ჰფიქრობენ მოკავშირეები დახმარობ.

მოკავშირეები არც ისე დაინტერესებული რუსეთის „გაერთიანებასა“ და აღდგენაში. უმეტეს ნაწილად ეს ინგლისისათვის მცირე სურვილს წარმოადგენს. ძლიერი და გაერთიანებული რუსეთის სახელმწიფო სერიოზული საფრთხე იქნება ინგლისისათვის.

რაკოვსკის განცხადება.

კიევი, აგვ. 12. კიევის დეპუტატთა საბჭოს სხდომაზე რაკოვსკიმ პროტესტი განაცხადა უკანასკნელ დღეებში პ. ნიკის გამო. ხმები ვორონეჟის და რომადანას აღების შესახებ—ტყუილია. მდგომარეობა სერიოზულია—მაგრამ უიმედო არაა უმეტეს 6 წილად საჭიროა თავიდან ავიცილოთ სასურსათო კრიზისი.

№-ის არმიის შტაბი. აგვ. 12. ციმბირში მანუფაქტურაზე ფასები ხელოვნურად აწეულია. ომსკში არშინი მაუდი ღირს 300—400 მანეთი. მუშების საცხოვრებლის მინიმუმი 800 მანეთი. სამარა, აგვ. 12. ორენბურგის ფრონტზე უზენსკის ქარხანაში თეთრთა ბრბომ 30 მოხელე მოკლა, ძალა იხმარა ქალებზე, მოაგროვა ქონება და 1.500 შინაური საქონელი წაიყვანა.

№-ის არმიის შტაბი. აგვ. 10. ომსკში სამხედრო წესები გამოცხადდა. დაარსდა სამხედრო საველე სასამართლო. დახვრეტილთა გვამებს ირტიშში ყრიან.

გაფიცვები ინგლისში

მოსკოვი. აგვ. 12. ჰელსინგფორსიდან იუწყებიან. რომ კოტკაში გაფიცულ ნავთსადგურის მუშების რიცხვი 800 აღწევს. „ვიბორგსკაია გაზეტა“-ს ცნობით, ინგლისში დაიწყო მეპურეთა გაფიცვა, რომელშიაც 60 ათასი მუშა იღებს მონაწილეობას. ამერიკაში რკინის გზის 14 კავშირმა, რიცხვით 2-მა მილიონმა მუშამ მოხთოვნილება წარადგინა დაუყოვნებლივ მოუმატონ მათ ჯამაგირები. ორგანიზაციულად შეკავშირებულმა ამერიკის მუშებმა მოითხოვეს, მიეცეთ უფლება რკინის გზის სამართველოში დაუშვან მათ წარმომადგენლი, რათა კერძო კაპიტალი რკინის გზის მართველობიდან გაუქმებულ იქნას. ეს მოთხოვნილება მუშები მზად არიან, გაფიცვებით დაიცვან. ტურინის ქუჩებში შეტაკება მოხდა. ამერიკის კონგრესზე ითათბირეს ევროპის ფინანსიურ დახმარების საკითხში!

რუმინეთის სიჩუმე.

ლიონი, აგვ. 3. ამერიკის რადიო გადმოგვცემს, რომ ხუთთა საბჭოსთვის უკანასკნელ ნოტაზე, რომელიც რუმინელებს გაეგზავნა, პასუხი არ მიუღიათ.

დენიკინის ხიშტით.

მოსკოვი, აგვისტოს 2 ბალაშოვიდან ჩამოსული გვიამბობს დენიკინელთა და მწვანე ბრბოების მიერ ჩადენილ სიმხეცეებს ბალაშოვში შეჭრისთანავე მწვანეებმა დაიწყეს მცხოვრებთა ძარცვა და ხოცვა. კომუნისტები და ებრაელები ქუჩებში დაჭყვლეთ და ხვრეტდნენ. 2 დღეში 50 კაცი დახვრიტეს. ბალიშებიდან ბუმბულს ჰყრიდნენ. შემდეგ ლოთობა დაიწყეს. მთვრალები ჯაუჯაუჯად დადიოდნენ ქუჩებში, ისროდნენ და ხალხს სცემდნენ. ბალაშოვში ინგლისის მისია ჩამოვიდა, შემდეგ პარაკლისები გადაიხადეს. 2 დღის შემდეგ მწვანეები და ყაზახები გაიქცნენ.

მონარქისტული პროპაგანდა უნგრეთში

ლიონი, აგვ. 2. ბუდაპეშტიდან იუწყებიან, რომ ქალაქში ავრცელებენ აურებელ ფურცლებს, სადაც მეფის ძალა უფლების აღდგენისაკენ მოუწოდებენ ხალხს. ეწევიან ებრაელთა საწინააღმდეგო პროპაგანდას და მოითხოვენ აგრეთვე ბუდაპეშტიდან რუმინელების გასვლას. ამ პროპაგანდაში მოკავშირეთა მისია ჩაერია.

ბელა კუნი

პარიზი. აგვ. 11. ვენიდან მიღებულ დეპეშის თანახმად, ბელა კუნი ჩავი-და გრეხუში (კონიგსბერგის მახლობლად) სადაც ეხლა მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან.

ხოლერა ოსმალეთში.

ნიკოლაევი. აგვ. 12. ოსმალეთში გაჩნდა ხოლერა, რომელიც სტამბოლში ვრცელდება. ოსმალეთის ანტისანიტარული მდგომარეობა იმის საბუთს იძლევა, რომ ეს ავადმყოფობა ძალიან გავრცელდება, რადგან საკმაო სამედიცინო ძალები არ აღმოჩნდა. სანიტარული რაზმები საფრანგეთიდან და საბერძნეთიდან გამოიწვიეს

მეფე ფერდინანდის ფულის კონფისკაცია.

პარიზი. აგვ. 11. ინგლისის უმაღლესმა სამჯავრომ ამ ჟამად ჰუნგრეთში მყოფ ბულგარეთის მეფეს ფერდინანდს აუწყა, რომ კანონიერად არის აღიარებული ინგლისის ბანკებში შეტანილი მისი კაპიტალის კონფისკაცია, რომელიც 4 მილიონ გირვანქა სტერლინგს აღემატება.

ლორენის გაფრანგება.

ნაუენი, აგვ. 11. ფრანგულ გაზეთების სიტყვით ლორენის ფრანგული მიმართულება პრაქტიკულად განსახორციელებლად სთვლის ბრძანებას საჯარო ადგილებში გერმანულ ენაზე ლაპარაკის აკრძალვის შესახებ, რადგანაც ლორენის მცხოვრებთა უმეტესმა ნაწილმა ფრანგული ენა არ იცის.

რუსეთის ქალაქებში.

კიევი, აგვ. 11. ნოვოგრად ვოლინსკში ბრბოების ატამანი პილენკო თავის შტაბით დახვრიტეთ. გაზეთების ცნობით ხარკოვში სახლების და სხ. ქონების სპეკულიაცია დაიწყო. ხერსონის მაზრაში კარგი მოსავლის გამო პურის ფასი დაეცა. ფუთი ხორბალი 60 მანეთი ღირს.

უნგრეთის ჯარის იარაღის აყრა.

ლიონი აგვ. 11. ბუდაპეშტიდან მოსული ცნობით, უნგრეთის წითელი ჯარის იარაღის აყრა უინციდენტოთ ხდება. წესრიგს დაცვას თვალყურს ადევნებენ მოხალისეთა რაზმები.

ამერიკის დელეგაცია უნგრეთში

ლიონი აგვ. 1 უნგრეთის შესახებ ამერიკის დელეგატები იმ აზრის არიან, რომ თუ მოკავშირეები უნგრეთში დამარცხდებიან, მაშინ ისინი რუსეთშიც დამარცხებას უნდა მოელოდენ და ბოლშევიზმი უფრო ძლიერი საფრთხე იქნება.

№-ის არმიის შტაბი ციმბირის ყარგიზებში ორი პოლიტიკური ჯგუფი იქმნება. პოლიტიკური პარტია ერ.-დემოკრატიული ტენდენციებით, ჩვენი კადეტების ესერების დაგვარად, რომელსაც „ალლა-შარდას“ პარტიას უწოდებენ, და პატარა ნამდვილი ბოლშევიკური, რომლის დამაარსებელი მარდინაჯანეი დახვრიტეს, მეორე ტუზჯუევს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, მაგრამ სახადით ავად გახდა და ციხეში გარდაიცვალა.

ახალგაზრდა ოსმალთა მოძრაობა და ოსმალეთი.

ნიკოლაევი. აგვ. 12. ახალგაზრდა ოსმალებმა ისევ დაიწყეს მოკავშირეების წინააღმდეგ აგიტაცია. „ერთობის და პროგრესის“ კომიტეტმა გაუშვა პროკლამაციები, სადაც მოუწოდებენ ყველა მაჰმადიანებს, აჯანყდენ უცხოელების წინააღმდეგ, რომელნიც ოსმალეთის დაყოფას ფიქრობენ. ახალგაზრდა ოსმალები ფეხზე აყენებენ და აიარაღებენ ჯარს და ისლამის სხვა ხალხს უერთდებიან. სამღვდელოება ყველგან ახალგაზრდა-ოსმალთ ემხრობა. მოძრაობას სერიოზული ხასიათი აქვს. საფრანგეთის პრესა ახალგაზრდა-ოსმალთა წინააღმდეგ, რომლებიც სამღვთო ომისკენ მოუწოდებენ ხალხს რეპრესიებს მოითხოვენ. სტამბოლში მოსულ დეპეშის ცნობით, სამხრეთ საფრანგეთში და იტალიაში გვალვების გამო მოსავალი გაფუჭებულა. ორივე ქვეყანას შიმშილი მოელის. ისინი რუსეთისაკენ იცქირებიან, მაგრამ ისინი აქ ინგლისელებმა გააფრთხილეს, რომ მათ ყუბანის, კავკასიის და დონის კოოპერატივებთან ხელშეკრულებები დასდეს. ინგლისის საექსპორტო სავაჭრო სახლებს სამხრეთ რუსეთიდან პური გააქვთ საქონლის გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე. ინგლისის მანუფაქტურა და ფეხსაცმელი საშინელ მაღალ ფასებში იყიდება. ინგლისელების ვალუტას რუსულ ფულზე სცვლიან, და პურს ისე ყიდულობენ. ამ გვარად, მიუხედავად დიდი მოსავლისა პურს ფასი ყოველ დღე ემატება.

რუსეთის პურის სპეკულიანტები დიდ მოგებას იღებენ. უცხოელთა საქონელზე ფასი იმდენად დიდია, რომ მათი შეძენა სრულიად მიუწვდომელია მშრომელი ელემენტებისათვის.

დონის მხედრობის საფრანგეთის მთავრობისათვის გადაცემა.

ნიკოლაევი, აგვ. 11. როსტოვის გაზეთებში მიუხედავად მკაცრი ცენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურისა, ცნობა დაიბეჭდა, რომ საფრანგეთის მთავრობა, რომლის ხელშია დონეცის მაღაროების წარმოების უმეტესი აქციები აპირებს ნახშირის საქმეების მუნიციპალიზაციას და თავისი საკუთარი წესწყობილების შემოღებას.

გერმანული პრესა.

პაერით მიმოსვლა ბერლინ-მიუნქენს შუა.

„ფოსიშე ცეიტუნგი“ — იუწყება, რომ მოკლე ხანში ცეპელინების საშუალებით საჰაერო მიმოსვლა გაიხსნება ბერლინ-მიუნქენ-ფრიდრიხს ჰაფენის ხაზზე. ბერლინიდან მიუნქენში გადაფრენას 7 საათი მოუნდება და 300 მარკა ეღირება. ბოლო ბერლინიდან ფრიდრიხსჰაფენში—600 მარკა. ცეპელინების მოძრაობას ამინდი ხელს ვერ შეუშლის.

აჯანყება უნგრეთში.

მოსკოვი, აგვ. 11. გადატრიალების გამო უნგრეთში შეიარაღებული აჯანყებაა. რეაქციონერებმა ახალი გადატრიალება მოახდინეს, ისინი ერცჰერცოგს რუმინელებთან შეთანხმებაში და ღალატში ბრალს სდებენ. უნგრეთში პარტიზანულ ომს მოელიან, რომელშიც უნგრეთის ჯარი გლეხებთან ერთად იბრძოლებს. ინგლისის უმაღლესმა ტრიბუნალმა დაამტკიცა ყოფილ ბულგარეთის მეფის ფერდინანდის 4 მილიონ გირვანქა სტერლინგის კონფისკაცია. მეფე თავის კაპიტალს ინგლისის ბანკში ინახავდა. დანიის ერთი ბურჟუაზიული გაზეთი იუწყება, რომ კოლჩაკი დაპატიმრებულია. მის გარშემო გლეხები აჯანყებას ახდენენ. კოლჩაკმა ვითომ თვით ღიარა მოკავშირეებთან, რომ მისი მდგომარეობა უიმედოა. „იუგნი კრაი“ იუწყება, რომ ხარკოვში ხოლერით 68 კაცი მოკვდა. ეპიდემიასთან საბრძოლველად მედიკამენტები არ არის.

როგორ თავისუფლდებიან ჯარიდან?

ერთ სამხედრო ნაწილში 700 ჯარისკაცში 350 განაცხადა. მათ განაცხადეს რომ ისინი დიდის ერთები არიან და ამისთვის შეღავათი ეძლევათ. ნაწილის უფროსმა მოიკითხა მოწმობები და ყველას ჰქონდა სამი ოთხი მოწმობა ერობისგან, კომისრებისგან, სოფლიდან და მღვდლისგან ყველაზე დიდ ნდობას ერობა სარგებლობდა და ამიტომ მრავალი ჯარისკაცი თავისუფლდება ხსენებულ მოწმობების გასინჯვის, შემდგომ როგორც ოჯახის მარჩენალნი.

გავიდა რამდენიმე დღე, სამხედრო ნაწილში თითქმის ყველას გაუჩნდა ერობის მოწმობა დიდის ერთობის დამამტკიცებელი, ამ მოვლენამ ყურადღება მიიქცია. ნაწილის შტაბში და ეჭვები აღძრა ოფიცრობას, ამას ზედ დაერთო ის ამბავი, რომ ნაწილიდან გაქცეული დეზერტირები სოფელში ერობამ და კომისრებმა დაფარეს და მათ დასაჭერად წასულ ოფიცრებს ხელში არ მისცეს, რის გამოც უკმაყოფილონი იყვნენ ნაწილში დარჩენილი ჯარის კაცები და ამბობდნენ: „თქვენ ჩვენზე მოიცალეთ, ჩვენ წაგვიყვანეთ, სამსახურში, ბოლო სხვებს ვერ აგროვებთ და ვერც იმათ იჭერს, რომელნიც ჩვენგან ტანისამოსით და იარაღით გაიქცნენ“.

ყველა მიხვდება, რომ ეს გარემოება სახელს უტეხდა ნაწილს და საერთოდ ჯარს. მარტო ერობა და კომისრები არ სცოდებდა ამ შემთხვევაში რესპუბლიკას, გორის მაზრის სამხედრო უფროსი ყველა მასთან მისულ პირს და მათ შორის ნაწილიდან იარაღით გაქცეულ დეზერტირებსაც ანთავისუფლებდა. ბოლოს სამხედრო ნაწილის უფროსმა გადასწყვიტა არც ერთი ჯარისკაცი არ გაეშვა ნაწილიდან, თუნდაც ყოფილიყვნენ ისეთებიც, რომელთაც კანონით განთავისუფლება ეკუთვნოდათ.

გაიგეს თუ არა ეს ჯარისკაცებმა ერთ კვირაში ყველამ გაიჩინა—[illegible] ერობების, კომისრების და ეკლესიის მოწმობები, რომ ისინი არიან 24 წ. და 25 წ. ვინაიდან ამ წლებს ჯარიდან უშვებდა მთავრობა. მთელი ჯარი 25 და 24 წ. „აღმოჩნდა“. ამ შემთხვევაშიც სამხედრო ნაწილის სარდალმა არც ერთი ჯარისკაცი არ გაანთავისუფლა.

საინტერესო და დამახასიათებელია ამ წერილის შინაარსი, რომელიც ჯარისკაცს მოუწერია მშობლებისათვის, ეს წერილი ხელში ჩაგვივარდა ჩვენ და ვაქვეყნებთ.

ჯარის კაცის წერილი.

1919 წელს მკათათვის ოცდა რვას გეგზავნით წერილს №№ ეხლა რა უნდა გწეროთ ჩემი ამბავი ვიცი თქვენი კეთილ გულის ამბავი რომ ჩემს ამბავს იკითხავთ, მე ძალიან კარგათ ვარ, ბოლო ციხეში ვარ მე და ზალიკო. ჩვენ გვინდოდა რომ წამოვსულიყავით შინა მაგრამ დაგვიჭირეს გზაში ერთი თვე უნდა ვიყვეთ ეხლა რას გწერთ დიდის ერთებს უშვებენ სახლებში რომელიც ოცდა ოთხისა არის ეგება თქვენც ეცადოთ ღვდელს და ერობას ქრთამი მიეცით, და ოცდა ოთხი წლისა დამიწერინეთ თუ ჩემი მოსვლა გინდათ და ოც კაცს ხელი მოაწერინეთ ქაღალდი კარგი უნდა იყვეს, კომისარის ერობის და ღვდელის ბეჭედი უნდა ჰქონდეს...

ამის შემდეგ წერილი ჩვენთვის საინტერესო არ არის.

ი. ჭიდაძე.

ქართველ ოფიცრების ცხოვრებიდან

რამდენიმე თვის წინად მესხეთში მომხდარ ომების გამო ქ. ახალციხეში თავი მოიყარა დიდ-ძალმა ჯარმა. ცხადია, ოფიცრობაც ძალიან ბევრი მოგროვდა. ისეთ მიყრუებულ ადგილობში, როგორიც ახალციხეა ძნელია რამე კულტურული სიამოვნების ნახვა, მით უმეტეს, რომ დღევანდელი პირობები სულ ნაკლებად უწყობს ხელს რამე სერიოზულ გასართობს. [illegible] მაძიებელ ხალხმა ნახა სად დაეჭირა თავი და ხელი მიჰყვეს საღამოების გამართვას. შაბათ-კვირა ისე არ გავიდოდა, რომ საღამო არ გამართულიყო. გარდა ამისა, რომ ეს საღამოები ყოველგვარ შინაარსს და აზრს მოკლებული იყო, იშვიათადაც მომხდარა, რომ რომელიმე საღამო უსკანდალოდ გათავებულიყო. ეს საღამოები ქართველ ოფიცრების ისედაც ცარიელ ჯიბეს სულ უფრო სცლის და ასეთი სკანდალი სახელს უტეხს ქართველ ოფიცრების უმრავლესობას. ნამდვილად კი მხოლოდ ერთი ნაწილია აქ ყოველგვარ შფოთისა და ალიაქოთის მოთავე—ესაა ქართველ-მაჰმადიანთა დივიზიონი. ამ დივიზიონის ნამდვილ ოფიცერთა თავ-გასულობას ისიც ემატება, რომ მასში ურევიან ისეთი პირები, რომელნიც ოფიცრებით არ არიან და პაგონებს კი ატარებენ და ამით უფრო უტეხენ მათ სახელს. ამ დივიზიონის ოფიცრები არა თუ ყურადღებას არ აქცევენ თავის ჯარისკაცების აღზრდას, პირიქით უფრო რყვნიან მათ. იყო მაგალითი, როცა ერთმა ოფიცერმა ჯარის-კაცები მოიყვანა ღამით კლუბში იმ დროს, როცა სხვა ოფიცრები [illegible] იყვნენ, ისე, რომ კარგი მაგალითების მაგიერ ესეთ სურათებს აცნობენ თავ-თავიანთ ჯარის-კაცებს. აშკარაა, მხოლოდ ოფიცრებზეა ჯარის აღზრდა დამოკიდებული, თორემ რაც თვითონ ოფიცრებს ექნებათ გაზრდილობა. იქ მისი ჯარის-კაცი რა იქნება! ჩვენი ჯარის სხვა ნაწილებს, როგორც მაგალითად: მე-4 პოლკი, სახაბირო რაზმს და გვარდიას თავი სამაგალითოდ უჭირავთ. ქართველ-მაჰმადიანთა დივიზიონის ამგვარ სითავხედეს და თავგასულობას საზღვარი არა აქვს, მაგალითად: ამ რამდენიმე დღის წინად ქ. ახალციხეში მეტად გულშემზარავი ამბავი მოხდა. ვინმე კორნეტმა ჯორჯაძემ რევოლვერით მოკლა პორუჩიკი ბაგრატიონ დავითაშვილი. საქმე ასე ყოფილა: ბაგრატიონ-დავითაშვილსა და ჯორჯაძეს, რომლებიც ერთს სუფრაზე შეხვდნენ, წილაპარაკება მოსვლიათ და ჯორჯაძეს ხუმრობით დუელში გამოუწვევია. ბაგრატიონს რევოლვერი თან არ ჰქონია, უთხოვია ამხანაგებისთვის და როცა ყველას უარი უთქვამს, მოუწერია რევოლვერი ერთ მეგრელ ამხანაგისათვის და გაუყოლია ჯორჯაძეს. შემდეგი საქმის ვითარებისა დაწვრილებით არავინ იცის, ეს კია, რომ დილას სამხედრო კლუბის ეზოში იპოვნეს მოკლული ბაგრატიონის გვამი. აღსანიშნავია, რომ რევოლვერის სროლაზე არავის მიუქცევია ყურადღება, რადგან ქართველ-მაჰმადიანთა დივიზიონის ჯარის-კაცები ისე ხშირად ისვრიან ბოლოში ღამ-ღამობით, რომ ერთი სროლა არავის გაუკვირდება. იმ დღესვე გაიგზავნა საგანგებო ნაწილი და ჯორჯაძე მახლობელ სოფელში დაიჭირეს, დააბრუნეს ახალციხეში და დაატუსაღეს. როგორც შემდეგ გამოირკვა, ჯორჯაძე ოფიცერი სრულიადაც არ ყოფილა. რომ ქართველ მაჰმადიანთა დივიზიონში არ ყოფილიყვნენ ისეთი პირები, რომელნიც ცრუ-ოფიცრები არიან და პაგონებს ტყუილად ატარებენ, მაშინ ასეთ ხალხს ადგილი არ ექნებოდა ოფიცერთა წრეში. და ეს სამწუხარო ინციდენტიც არ მოხდებოდა.

სამწუხაროდ, კომენდანტი და მისი ადიუტანტი სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ამგვარ პირთ. სასურველი კია ასე ხალხს უფრო მკაცრად ეკიდებოდნენ და როგორც ზედმეტ ელემენტს, სრულიად გადაასახლებდნენ ქ. ახალციხიდან, როგორც შფოთისა და უწესრიგობის შემომტანი.

ერთი ოფიცერთაგანი.

პასუხად „მასწავლებელს“.

სახალხო საქმის მე 600 №-ში დაიბეჭდა ფრიად ნერვიული წერილი ვინმე მასწავლებლისა. ბ-ნი მასწავლებელი აღაშფოთებია იმ გარემოებას, რომ მე გავბედე და დავიწუნე შუბლაძის და ჩიმაკაძის კრებულები, ხმალაძის კრებული კი მოვიწონე. ამის გამო ბ-ნი მასწავლებელი არა ზრდილობიანის ენით სცდილობს ჩემის აზრის გაბათილებას, და, რომ ეფექტი მოახდინოს, მიკერძოებასაც კი მწამებს.

ისტერიული ამოყვირება სჯა-ბაასში ჭეშმარიტებას არ გამოარკვევს. მე არ ვიცნობ არც ჩიმაკაძე-შუბლაძეს, არც ხმალაძეს, და მათ პოლიტიკურ მიმართულებაზე არავითარი წარმოდგენაც კი არა მაქვს, რომ მქონდეს კიდეც ეს წარმოდგენა, დამერწმუნეთ, ბ-ნო მასწავლებელო, ამას არავითარ ყურადღებას არ მივაქცევდი: არითმეტიკული კრებულის შედგენა მე პარტიულ საქმედ არ მიმაჩნია, მე მგონია თვით კრებულების შემდგენლებსაც, ეს ასეთ საქმედ არ მიაჩნიათ. როცა მე ვარჩევდი ამ კრებულებს, მე ვხელმძღვანელობდი მეთოდიურის და პედაგოგიურის პრინციპებით, არავითარი სხვა საიდუმლო ზრახვანი მე არა მქონია, და ტყუილად სცდილობთ, ბ-ნო მასწავლებელო, რაღაცა მდაბალი მოსაზრებანი მომაწეროთ. მართალია ხმალაძეს კრებულს აქვს ნაკლი, მაგრამ შუბლაძე ჩიმაკაძის კრებულთან კი, ეს კრებული იდეალურად უნდა ჩაითვალოს. განა მე შუბლაძე-ჩიმაკაძის კრებული მარტო ენისთვის დავიწუნე?—არა, და არც ხმალაძის კრებული მომიწონებია მარტო ენისთვის. თქვენ ხმალაძის კრებულიდან მოგყავთ მაგალითები, სადაც მას ენა არ უვარგა, მაგრამ მე რომ ჩიმაკაძე-შუბლაძის კრებულიდან მომეყვანა ამის მაგალითები, მაშინ თითქმის მთელი წიგნი უნდა გადმომეწერა, საზოგადოთ კი ხმალაძის კრებულის ენა უფრო ლიტერატურულია უფრო სწორი, ვიდრე შუბლაძე-ჩიმაკაძისა, ამას გარდა ხმალაძემ კრებული პირველად გამოსცა, ჩიმაკაძე-შუბლაძის კრებული კი მეოთხე გამოცემაა, და ნუ თუ მეოთხე გამოცემისთვის საკმაო დრო არ იყო ენა გაესწორებინათ?

როგორც ზევით მოგახსენეთ მე შუბლაძე-ჩიმაკაძის კრებული მარტო ენისთვის არ დამიწუნებია, მას ბევრი მეთოდიური ნაკლი აქვს, და ეს ნაკლი აღნიშნულია ჩემს გარჩევაში თქვენ კი ამას ყურადღებას არ აქცევთ. თქვენ ამბობთ, რომ ნაწევარი ხმალაძესაც ხაზების დაყოფით აქვს თვალსაჩინოდ ქმნილი, ეს მართალია, მაგრამ აბა მიაქციეთ ყურადღება, და თქვენ იქ სხვა სურათებსაც დაინახავთ, რომელნიც ამავე მცნებას განმარტავენ. თქვენ, ბ-ნო მასწავლებელო, ვერ გაგიგიათ ხმალაძის მიერ მოყვანილი ფრიად მარტივი, საადვილოდ დასახსომებელი გამრავლება თითების საშუალებით და იძახით რა თითი რომ ავიშვიროთ შვიდი საიდან იქმნება. ეს პირობაა ამ მარტივ გამრავლებისა. თითებით გამრავლება ხმალაძემ კი არ მოიგონა, ასეთი გამრავლება გავრცელებულია სპარსეთის ქურთებში, ვალახიაში, სამხრეთ იტალიაში, ისპანიაში, საფრანგეთში, და ამ გამრავლებას თქვენ შეხვდებით ყოველივე ახალ არითმეტიკულ კრებულში. ეს ფრიად საინტერესო და სასარგებლო ხერხია გამრავლებისა. და თუ თქვენ ამ ხერხს ვერ იცნობთ, რა ხმალაძის ბრალია.

დასასრულ უნდა მოგახსენოთ, რომ თუ ხმალაძეს პირველ ათეულზედ არა აქვს მოქმედებანი თავის წიგნში, ეს არ არის ნაკლი, საზოგადოთ მიღებულია, რაც ნაკლებად ვეყრდნობით სახელმძღვანელოს, მით უკეთესია. მართალია მაშინ მასწავლებელს მეტი შრომა სჭირდება, მაგრამ ამით თვით საგანი კი იგებს. მე მეტს აღარას ვიტყვი. წერილი ისეც გაგრძელდა.

გიორგი ზურჭულაძე.

ტრფობა წამებული

(ისტორიული რომანი)

75.

მეტადრე მაშინ შეძრწუნდა შუქური როცა ერთხელ უეცრად გაიყვანეს ის მიჩემებულ სენაკიდან, გაატარეს სარდაფები თუ ჯურღმულები ბნელ-ნესტიანნი და მოათავსეს ხშირ ბინდით მოცულ რაღაც მღვიმეში. ივდითი მისდევდა თან გულჩაცხილი და უსიტყვო, ხმას არა სცემდა, მხოლოდ წინამძღვრობდა. ერთხელ—ორჯერ ხელი უხურა სვლა შებრკოლებულ ქალს. ჭვანგები თუ ესხა დედაბერს განხმელ ძვალთაგან ქნილ თითებს! შეაზარა ქალი შეხებამა. მუხლმოჭრილი დაეშვა იატაკზედ. თავი გუბეული ძირს ოდლებული. სუნი სდიოდა მძიმე, სუნთქვის შემხუთველი. ჟამიერი მიმოავლო თვალი სავანეს მიბნელებულს. არაფერი სჩანდა. არც ხმა ისმოდა არაიდან. სამარისებურ დუმილს მოეცვა ყოველივე. მისი მეგზური დედაბერიც უხმოდ იდგა, თითქო ელოდა თუ ყურს უგდებდა შორიდან მოსალოდნელ რამ ხმაურობას. ვერ გაეგო შუქურს, რად ჩამოიყვანეს ის მღვიმეში, რად ჰყავდათ მისი ცოცხლივ დამარხვა; ან რას უპირებდნენ. ის უფრო აძრწოლებდა შუქურს, რომ მცველად მიეჩინათ მისთვის ბოროტი ივდითი, გაუღიმარი, [illegible]; გულ გაუხსნელი მეტადრე მისთვის.

პირველსავე დღიდან შეიძულა ივდითმა შუქური, პირველივე ნახვით. მტრად მოეკიდა ეგი უმწეოს. იხლა ქვესკნელში ის არის მისი დარაჯი და მპარველი, მხოლოდ ის უსასტიკესი. შიშმა და ღელვამ ხელი დაჰკრეს ქალს, ააცხროვეს, თითქო აიტაცეს. გატრიალდა დედაბერი კარისაკენ. ქალს მოეჩვენა, უნდა გავიდეს, დამიხშოს კარი, ცოცხლივ დამმარხოს ამ საშინელმა აზრმა წარსტაცა მას სალი ცნობიერება და გაუმხეცა უკანასკნელი ნაშთი ნებისყოფისა. ქალი აიტაცა ძრწოლის ღვართქაფმა და ნაფლეტივით აათამაშა თავის წავ ზვირთებზედ.

— მიშველეთ! მიხსენით! შესწირდა წინ განწირულის ხმით.

და დაეცემა, დაენარცხა მიწას-თითოლდა, ისლოკნებოდა.

— მიშველეთ რამე! მიხსენით! კვლავ დაიკივლა სასოწარკვეთით

და ზე წამოიჭრა. დედაბერი მისვარდა ქალს, დაიჭირა, ზედ შემოეხვია. ქალი იბრძოდა საშინელის ძალით. იძახდა საზარელის ხმით:

— მიშველეთ! მიშველეთ! იხსენით აშოტი!.. მახვილი!.. სისხლი საყდარში, სისხლი!..

შეუღონდა ქალს გული. ლაფუანივით გადმოეკიდა დედაბერის მკლავებზე. მონაზონმა დაუშვა იგი თივაზედ. გადმოიღო თახჩიდან ლიტრა, აპკურა წყალი. შუქურმა იხილა გაახილა თვალები; ისევ დაღრეჯა, [illegible] ხიზნს. მკვდარს ეგვანებოდა. შეეწინა დედაბერი. ფეხმარდად გამოვიდა, შეაჭრუბინა სხვები, ჩაეშვილნენ. მოსწულიერეს. შორს ლანდს თემისტო მიუჩინეს. სხვას ვერ აირჩევდნენ: მხოლოდ იმას შეაწყო ქალმა გული, მარტო იმის დაინდო მთელ მონასტერში.

— აქ გითხარი, ქალიჯან, ეშმაკეულია მეთქი! დააკვეთა იმ წყეულმა და [illegible]. საშინელი რამ ათქმევინა, მეფე აშოტზედ.

— საკვირველებაა! მაინც აქცია წყეულმა აშოტის მოსვლა; ბოროტებაც რაზე დაუსახა ყოვლად ბოროტმა.

— ჩვენ მეძიებს ეშმა შემოდგვა წმიდა სავანეში.

— უნდა განიდევნოს იგი ჩვეულური იესოს ძალით, რომელმა განასხა მარიამისგან შვიდნი ეშმანი შვიდი.

შუქური უკვე მოეგებოდა გონებას. თითქმის დამწუხარებულიყო, ლონე მოეკრიბნა, თავის მაზარს თუ გრძნობას კვალად დაუფლებოდა. თემისტოს მოეხილნა ეს სასწაული, მოყვარულ მონაზონს, რომლის კალთაში მიისძინებოდა ეხლა შუქურსა. უძრავად იჯდა გულჩათხრობილი. მხრჩენელის თვალით დამყურებდა მძინარეს. ის აკვირვებდა მას, რომ ქალს სრულ ასაკში შესულს, ხორცთა მისწრაფებაზე უკვე სავსებით განოცდილს, უბრუნველი გამოტყველობა შერჩენოდა სახეზე, ქალწულებრივი იერი არ მოშლოდა სპეტაკ ღაწვებზედ, ხალდური რამ გამოსტყვეოდა ბაგის ნაყოფში. ხომ ნაცხოვრ-ნალევში იყო, თემისტო დაბრძანობილი, მაგრამ ისიც კი იხიბლებოდა ამ საოცარ სიმშვენიერის მჭვრეტი, რომელი იწვევდა კაცში სიბრალულსაც და სიყვარულსაც, ორივეს ერთად. იხლა ესმოდა განდევნილს, რომ შესაძლო იყო გაჰმიჯნურებოდა მეფე-ვაჟკაცი ამ შუქურ ვარსკვლავს, ლბილ რამ შუქს რომ აპნევდა სულის მანათობს. ვეღარ შეიმაგრა მან გრძნობა მოლბობა, ფრთხილად დაიხარა, რომ ბაგით შეხებოდა მის სპეტაკ შუბლს, რომელს [illegible] მოჰფენოდა გაშლილ დამოფანტული ხვუჭი. ქალმა გაახილა თვალები, გაეღიმა მოლალარეს, [illegible], როგორც [illegible] ფრიად მოყვარულს.

— რამ შეგაშინა წმიდაო, შე საბრალოვ? განა ბოროტის სავანეა ეს წმიდა მონასტერი აქ მეუფეთ თვის მსურველთა. ვისმე მოელოდნენ და ისიტომ გამოგვიღვიძეს [illegible]: მოიპოვოებდესო ნახვას, ეწინაღდა.

— მივხვდი! ვიცი! აშოტს მოელოდნენ, მეფეს სანატრელს. მოვიდა კიდეც. მესმა მისი ხმა. სახეც დავინახე მისი. ეხლა მომეგონა. კიდევ [illegible] ჰქვენა, ვერ მივიგონე.

— სუ, ჩემო ლამაზო! დახუჭე თვალი, დაიძინე. იქნებ გაგიაროს სისუსტემ, უთხრა მონაზონმა.

და ხელი დაადვა ბაგეზედ ნაზად. ქალი დამორჩილდა მზრუნველს, ისევ ბურანს მიეცა. ფეხ-აკრეფით შემოვიდა თებრონიც მღვიმეში და დააკვირდა ქალს. უნდოდა ეთქვა რამე, მაგრამ შეეყოყმანდა და გადიფიქრა. ანიშნა თემისტოს, არ წამოსდგარიყო. არ განძრეულიყო. აშოტი უკვე წასულიყო. ცული მცირედ დაეშვიდებინა წინამძღვარს.

პატიმარი ქალი ისევ წინანდელ სენაკში გადმოიყვანეს. უკეთ ეპყრობოდნენ ეხლა მას. უფრო კარგად ასაზრდოებდნენ. მისმა უეცარმა დასუსტებამ შეაფიქრა მკაცრი თებრონია. ძმების სიტყვებმაც შეაკრთეს თავგამოდებული. ხუმრობა არ იყო რისხვა ხელმწიფისა, თუ იგი გულისწყრომით მიმართული იქმნებოდა, არა პირად იმაზედ. არამედ მთელ სავანეზედ. მონასტერი მისი აშენებული იყო, აშოტ ქველისა, და საშიში იყო, არ დაქვეითებულიყო მის მოწყალებას მოკლებულ-მოწყვეტილი, არ მოშრეტილიყო. შიში რამ შეჰპარვოდა წინამძღვარს, რყევას განიცდიდა ეხლა თავის ქცევის გამო მეფის წინაშე და ეს რყევა ძალას ართმევდა მის სიმკაცრეს ქალის შესახებ. ამისთვის ეტყობოდა სილბო მის ბრძანებას. ჟამიერი იყო ეს სილბო თუ ნიშანი სახიერებისა, მხოლოდ წამიერი: იცოდა თებრონიამ, ვერ დასთმობდა ერთხელ ხელმწიფის წინაშე სამოქმედოდ ამხედრებულისა. შუქურზედ ბოლომდის უნდა ასრულებულიყო ის, რისაც სწვევდა მას მის შესახებ საღმთო მოვალეობა და რაც დაუსახა მას გრიგოლმა წმიდამ.

ივდითი კი, სასტიკი მონაზონი, რომლის სულიდან საღმთო რამ შურს ამოებუგა ნასახიც ლმობიერებისა, უკლებლივ განაგრძობდა თავის მოძულე მოქმედებას პატიმრის წინააღმდეგ. ქალი მისთვის ეშმაკეული იყო, თვით სატანა იყო იგი ქალის სახით მოვლინებული რჩეულთა მოსახიბლავ—დასამონებლად, ბოლო ეშმა უნდა ძლეულიყო სახელითა ღვთისათა, განქარვებულიყო ყოველივე მანქანება მისი. გარეგნულად კი მეტი სილბო შეიტანა ქალის შესახებ ქცევაში თუ მიმართვაში; რადგან დარიგებისა თუ განსწავლის გზას დაადგა. ეტყოდა იგი შუქურს საღმრთო რამ თხრობებს ერთს განსაზღვრულ მიზნისადმი მიმართულებს, ეუბნებოდა შესაფერ სიტყვებ ლებს სახარებიდანაც. საგულისხმო იყო რომ მისი სიტყვები, თუნდ სახარებიდან ამოღებულ ფრაზები, მისსავით სასტიკნი იყვნენ, საზიზღებასა და მადლს მოკლებულნი; იმათში იხატებოდა მხოლოდ ბრძოლა ყოველგვარ მშვენების წინააღმდეგ, ყოველივე ნივთიერის სილამაზის დევნა შეუფერებელი. იმ საკვირველ ქმნულებათა მიხედვით ღმერთი სახიერი მხოლოდ [illegible] იყო უწყალო, თუნდ ნაცრიდის მიდრეკილებისათვის საამო ნივთიერებისა, (ოქროთა და ვერცხლით მისი აღმომფხვრელი, თითქო შემოქმედს ნივთნი და მათ სიამენი მხოლოდ შესაცდურად დაებადოს თუ შეექმნას.

— მისმინე, ქალო! ისმინე სიტყვა ღვთისა ღირს იაკობ მოთხრობილი ჩვენდა სამჭსვილად:

იყო კაცი ღვთისა და სახელი მისი ქრისტოფორე. იღვაწდა იგი განდეგილი, [illegible] მარტო ჟამს. შესჭამდის [illegible] შინა კოტორსა შურისას ჩეროს და ღელესა სამსა. ღვინისა არა იხმევდის. სწორედ იგი ღმერთსა და მიინიჭა ძალი სასწაულთმოქმედი. განითქვა სახელი მისი, მივიდოდიან მისამდე მრავალნი თაყვანისცემად მისსა და კურნებად მისგან. ფრიად მშვენიერ იყო იგი სახითა და ახოვანებითა. დედანი ვიეთნიმე წარიტაცის მშვენიერებამან მისმან და სცილდებოდენ იგივე გულსა შინა თვისსა. გულისხმა ჰყო ესე წმინდანმა და ევედრა უფალსა, რათა თანაწარხდეს მისგან სახე იგი კეთილქმნილი და იცვალის იგი სახედ ძაღლისათა. უსმინა უფალმა და ექმნა მას სახე ძაღლისა. ამიერით არღა შეიცვლიდენ მგზავრი დედანი ცოფნებასა მის წმიდისა გამო.

და დასძინა მონაზონი შესაფერ სიტყვის სახარებიდან: უკეთუ თვალი შენი გაცდუნებდეს შენ, ჯერ არს აღმოიხადო იგი; უკეთუ ხელი შენი მარჯვენაი გაცდუნებდეს შენ, ჯერ არს მოიკვეთო იგი. ვაი მას, რომელი აცდუნებდეს ერთსა მცირედთაგანსა; უფრო რე ვაი მას, რომელი აცდუნებდეს დიდი დიდებულსა.

ვასილ ბარნოვი.

(შემდეგი იქნება)

მიმოსვლა
სახალხო მატარებლებისა
ს. ს. რკ. გზ

გადის თბილისიდან.

ფოთში	№ 21	ღამ.	12 ს.	5 წ.
ქუთაისში	№ 10 9	საღ.	8 ს.	7 წ.
ბათომში	№ 3	საღ.	5 ს.	4 წ.
თოთში	№ 3			

...თაის და არც არის, თუ არაფერს გვეშველება და საკუთარი მსაჯული არ მიეცემა, ზარემ სამუდამოდ დაიკეტოს ისა სჯობია.

ჭიათურის მომრიგებელი სასამართლოს ყოფნა-არ ყოფნის უმთავრეს მიზეზად ასახელებენ სასამართლოების რეორგანიზაციას და მასთან შირაპნის მაზრის ერობის დაუდევრობას და თვით იუსტიციის სამინისტროს უყურადღებობას. ვისიც რიგია საჭიროა ყურადღება მიაქციოს ამ სამწუხარო მოვლენას

ი. ჭ—ლი.

სომხეთი

სომხ. დიპ. სააგენტო

მარიამობისთვის 12.

№ 63 შუადღის [illegible]
№ 61 ღამის [illegible]
№ 19,20 შუად. 3 ს. 26 წ.

მ ო დ ი ს:

№ 19,20 დილ. 6 ს. 30 წ.
№ 62 დილ. 11 ს. 24 წ.
№ 64 საღ. 8 ს. 4 წ.

თბილისი-სანაინი

გ ა დ ი ს:

№ 4,3 ს. შუად. 1 ს. 40 წ.

მ ო დ ი ს:

№ 4,3 ს. დილ. 11 ს. 30 წ.

შენიშვნა 1. მ. მ. №№ 21 და 22 დანიშნულება არის სამგზავრო (ისწრაფის გადასაზიდები და მალე წასაღები საქონლის.

შენიშვნა 2. მ. მ. №№ 61, 62, 63, 64 იმოძრავებენ თბილისსა, ქანისა და გორის შუა: 1 წყვილი ივლის უქმე და კვირა დღეებში, 2 წყვილი უქმე და უქმის წინადღეებში.

საექიმო კაბინეტი
ექ. კ. ცუშელაშვილისა
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავადმყოფები სასქესო და საშარდე ორგანოთა (606 და 914 წამლობა) მიხეილის საავადმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევარ საათ 25—2536—1

ბ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, ძლექის და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით, დიდი სოლენოიდი და [illegible] კით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4—1
7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის
[illegible]
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ი და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპ. № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპ.
ტელეფონი 14—25.

სამხედრო სამინისტროს სტამბა. ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3.